სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 12 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ... უნდა გამოგზავნონ: Тифлис, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 144 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 144



გულდათუთქული დედა სონა გრიგოლის ასული, უზომოთ დამწუხრებული ძმები: ილია და ვანო ვაშაძეები, ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 10 აპრილს სოფ. ვაშნარში ოსმალებთან ბრძოლაში მოჰკლეს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი პრაპორჩიკი

**შალიკო ვაშაძე**

მიცვალებული მოასვენეს გურიიდან ჭიათურაში 5 ივლისს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება მოხდება კვირას, 14 ივლისს ქ. ჭიათურაში საკუთარი სახლიდან ნაშუადღევის 5 საათზე. მისაპატიებელი ბარათები არავის გაეგზავნება. (2—2)

მეთხე რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბი მწუხარებით აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ დუშეთში 5 ივლისს, მდინარე არაგვში, თავისი მოვალეობის ასრულების დროს დაიღუპა ამავ რაიონის სახალხო გვარდიელი

**იაკობ გასპაროვი**

მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავათმყოფოდან კვირას, 14 ივლისს, დილის 10 საათ. და დაასაფლავებენ ხოჯივანქის სასაფლაოზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ეფროსინე, დედა ალათი, შვილები: ნიკიფორე, კოლია, ნინა და თამარა: ძმები: იროდი, სანდრო, ვლადიმე და ივლიანე; რძლები: პისტი, ოლღა და ბარბალე ცინცაბაძეები და დისწული ისაკი დავითის ძე ინწკირველი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 11 ივლისს გარდაიცვალა

**ნიკო გიორგის ძე ცინცაბაძე**

მიცვალებულს გამოასვენებენ პარასკევს 12 ივლისს ათ საათზე სახლიდან ანდრეევის შესახვევი № 6) თფილისის სადგურზე გურიაში წასასვენებლად. დაკრძალვა კვირას 14 ივლისს. ს. ზომლეთში. (2—1)

ეფროსინე ფილიპეს ასული იოსელიანისა, შვილები: დათიკო, ჯვები და ფაჩუ აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი სიძის

**დიმიტრი როსტომის ძე მელაძის**

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება არამიანცის საავათმყოფოდან მოხდება 12 ივლისს 4 საათზე და დაიკრძალება დიდუბის ეკლესიის გალავანში იმავე დღეს. (1—1)

მელიტონ და შალვა დიმიტრის ძენი იოსელიანები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფასი სიძის

**დიმიტრი როსტომის ძის მელაძის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის გალავანში 12 ივლისს საღამოს 6 საათზე. გამოსვენება არამიანცის საავათმყოფოდან 4 საათზე. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მატა შარაშენიძისა, შვილები: ვიქტორ, უშანგი, ლეონიდე, პავლუშა, გოგოლა და რძალი მერი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

**ნიკოლოზ ოქროპირის ძის შარაშენიძის**

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება შაბათს 13 ივლისს 4 საათზე ქ. ოზურგეთში. (2—1)

არშაკ ისაკის ძე თამაზოვი, ნატალია ლაზარეს ასული თამაზოვისა, ხარიტონ ერმილეს ძე და პელაგია გიორგის ასული ლომთათიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 7 ივლისს თავის საკუთარ სახლში ვერაგულათ მოკლულ იქნენ დედაშვილი

**ეკატერინე და ვასო ჩიტაშვილები.**

დასაფლავება მოხდება ხვალ 12 ივლისს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან დილის 9 საათზე. (1—1)

## ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

ამ მოკლე ხანში საზღვარ გარეთ მიემგზავრებიან მრეწველობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი. საბჭო ამით აცხადებს, რომ ვისაც სურს რისამე დავალება სხვადასხვა ქარხნების მოსაწყობად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვადასხვა საქონლის სყიდვის შესახებ, ვსთხოვთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე მოსალაპარაკებლად ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით).

მისამართი: ქ. თფილისი, ფრეილინის ქ. № 11.

ტელეფონი 9—18. (2—2)

## თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენებზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და სამე რიგისა 50 მან., ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნულია 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ახ. ავტომობილებს და ცხენების პატრონთ, თფილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს. (3—3)


## რა მოსპობს ანარქიას?

ანარქია დღითი დღე ძლიერდება, განსაკუთრებით სოფლათ. პირველ რიგში, რასაკვირველია, საქართველოს უფრო ჩამორჩენილი კუთხეები სდგას: ასეთია რაჭა-ლეჩხუმი, დუშეთ-თიანეთი, ოსეთი და სხვ., მაგრამ ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრება კი ყველგან დარღვეულია: თვით დაწინაურებული გურია და იმერეთ ქართლ-კახეთიც არ შეადგენენ ამ მხრით ბედნიერ გამონაკლისს: ყველგან თარეშობენ აღვირ ახსნილი სპეკულიანტები, რომელნიც აშკარათ არღვევენ სასურსათო ორგანიზაციების დადგენილებებს და ხალხს ტყავს აძრობენ; გადასახადს არავინ არ იხდის და არსაიდან ხაზინაში ერთი გროში არ შედის, ადმინისტრაციის დადგენილებებს იშვიათად თუ აასრულებს ვინმე; სასამართლო კი სრულებით გაუქმებულია. ასეთია საერთოდ სოფლის ცხოვრების სურათი.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ასეთი უწესოება დაინახოს ადამიანმა.

მაგრამ როცა კითხვა საჭირო ზომების მიღებაზე მიდგება, ყველა თავისებურათ მსჯელობს.

ჩვენებურ გარდამავალ წოდების პარტია—ეროვნული დემოკრატები სულ იმას ჩაგვჩიჩინებენ, რომ სოფლის დასაწყნარებლათ მათრახი და ძველი წყობილების ბოქაულია საჭირო; ამასთან ერთად ისინი გვირჩევენ მემამულეებისაგან მიწების გამოსყიდვას და შემდეგ გლეხებისთვის მიყიდვას. მათრახის და საზოგადოთ ფიზიკურ ძალის თეორიას თითო-ოროლა მათ გარეშეც კი ჰყავთ მომხრე.

მეორე მიმართულება სულ წინაამდეგ გზას ადგია. ფიქრობენ სოფლათ იმიტომ მძვინვარებს უწესობა, რომ ხალხმა არ იცის ჩვენი ცხოვრების ვითარება. ათი მკათათვის ნომერში „სახალხო საქმე" გადაჭრით მოითხოვს ინტელიგენციისაგან სოფელში გასვლას და იქ პროპაგანდა-აგიტაციის გაჩაღებას. ამაში ხედავს ის ხსნას. „სახალხო საქმის" აღნიშნულ შეხედულებას ჩვენს პარტიულ წრეებშიაც ბევრი მიმდევარი ყავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე მიმდინარეობა შემცდარია, რომ არც ერთს ზემოთ აღნიშნულ ზომას ცალკე არ ძალუძს წესიერების დამყარება. მათრახი და პრისტავი ერთს დროს ყოვლის შემძლებელი იყო, მაგრამ ის დრო წავიდა. დაეცა ძლიერი მექანიზმი თვითმპყრობელი მთავრობისა და დღეს შეუძლებელია კვლავ აღვადგინოთ მათრახის და პრისტავის რეჟიმი. ასეთი მოღვაწეობა საქმებით შეჰფერის ეროვნულ დემოკრატებს, ეს მათი იდეალია და ჩვენ მათ ამ საქმეში ვერ შევეცილებით.

მაგრამ ვერც სოფლათ ინტელიგენციის დაბრუნება შესცვლის არსებულ მდგომარეობას. რასაკვირველია, ახსნაგანმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ანარქიას ეს ვერ მოსპობს, თუ არ მოისპო ანარქიის გამომწვევი მიზეზები:

ერთი ასეთი მიზეზთაგანი, ჩვენის ფიქრით, მიწის საკითხის მოუწყობლობაა. წელიწად ნახევარია, რაც გლეხი ჩვენს დაპირებას მიენდო, თუმცა, უნდა ვთქვათ, სავსებით არსად არ აუსრულებიათ ჩვენი რჩევა დარიგება. ჩვენ ვურჩევდით არ დაეტაცებინათ მიწები, სანამ დამფუძნებელი კრება არ გადასწყვეტდა ამ საკითხს. ამ რჩევამ დიდი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ მიწების დიდი ნაწილი გლეხობამ მაინც დაინაწილა. ჩვენმა კანონმდებლობამ განსაზღვრა მსხვილ მემამულისათვის დასატოვებელი ნორმა და დანარჩენს მიმღები კომისიები იბარებენ. გლეხობა იმედით შეჰყურებს ამ ზომას, მაგრამ ის მაინც არ არის საბოლოვოთ დარწმუნებული, რომ ჩამორთმეული მიწა გვლავ მემამულეს არ დაუბრუნდება, ბნელი და გაუნათლებელია გლეხი, მაგრამ სალი ინსტიქტი ეუბნება მას, რომ ყველაფერი შესაძლებელია ამ ქვეყნათ. და რომ ინსტიქტი გლეხს არ ატყუებს, ამის მაგალითს ჩვენ გვაძლევს უკრაინა, ბალტიის მხარე და სხვა კუთხეები. მაშასადამე მიწათმფლობელობის ფორმის გადაწყვეტა და გლეხობის საბოლოვოთ დაკმაყოფილება მიწით აუცილებლათ საჭიროა. ეს ზომა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს.

ამას აუცილებლივ უნდა მოყვეს მეორე ზომაც: სასამართლოს და ადმინისტრაციის მოწყობა. სოფლათ არ არის მილიცია, სოფლის კომისარები სრულიათ მოუმზადებლები არიან ადმინისტრატიულ მოღვაწეობისათვის. სოფელი მოკლებულია სასამართლოს. უხეირო სასოფლო სასამართლოები რევოლიუციამ გააუქმა, ახალი სასამართლოები ჩვენ არ შეგვიქმნია. აღმასრულებელი კომიტეტები და გლეხთა საბჭოები პირველ ხანებში ასე თუ ისე ახერხებდენ სასამართლო ფუნქციების გაძღოლას, მაგრამ დღეს ისინი სრულებით უვარგისნი არიან ამ საქმისთვის. მომრიგებელ მ. სამართლეთა რიცხვი მცირეა და სანამ ამ სასამართლოების რეორგანიზაცია არ მომხდარა, ხალხი მათ არც ენდობა. ერთი სიტყვით სოფელს არ აქვს სასამართლო და ადმინისტრაცია, ურომლისოდაც შეუძლებელია ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობა.

ცხადია, აღნიშნულ პირობების შეცვლა არ ძალუძს არც ეროვნულ-დემოკრატების მათრახს და არც სოციალისტურ-პროპაგანდა-აგიტაციას: საჭიროა სალი და გადამჭრელი სახელმწიფოებრივი ზომები.

მიწის საკითხის გადაწყვეტა გლეხთა საკუთრების განმტკიცების ნიადაგზე, მაგარი ადმინისტრაციის შექმნა და სასამართლოს მოწყობა—აი რა უშველის სოფელს, რა მოსპობს ანარქიას და არევდარევას. წინააღმდეგ შემთხვევაში რეაქციის გაბატონება აუცილებელია: ტყვილა კი არ ამბობენ ზოგან გლეხები: ჩვენ ბოლშევიკები ვართ, რადგან ხელმწიფე არა გვყავსო.

მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის მოვალეობაა დაჩქარებით მიიღონ საჭირო ზომები და სოფლის ცხოვრება მოაწყონ.

## კიდევ სიკვდილით დასჯის შესახებ

ამხ. რ.—ს ბევრი ემხრობა და დაჟინებით ილაშქრებს სიკვდილით დასჯის კანონის უკუმსვლელობის ხასიათის წინააღმდეგ. რა საბუთი მოყავთ მათო? ამბობენ:

კანონის ასეთი უკუქცევით ძალა ანგრევს თვით პრინციპს სახელმწიფოებრიობისას". მერე რითი ასაბუთებენ ამ დებულებას? ზოგს ასეთი გულუბრყვილო მოსაზრებაც კი მოყავს: ასეთს პირობებში არავინ არ იცის, ხვალ რა მოელის. დღეს ის ვთქვათ, მიწის მხვნელია, რა საბუთი აქვს იფიქროს, რომ ხვალ მიწის დახვნა დანაშაულათ არ გამოცხადდება და მას არ დასჯიან ამ სასარგებლო შრომისათვის.

ასე კითხვის დასმა შეუძლებელია. როცა საქმე ეხება სამოქალაქო დებულებებს, ცხადია უსამართლობა იქნება გამოსცე ისეთი კანონი, რომელსაც უკუმსვლელობითი ძალა ექნება და მოქალაქეს ქონებრივ ზარალს მიაყენებს, მაგრამ რევოლიუციამ იცის ასეთი კანონებიც და თუ განყენებულათ ვიმსჯელებთ დიდ ბოროტებათ უნდა ჩავთვალოთ მიწის კანონის ის მუხლები, რომლის ძალით მემამულეებს შვიდ დესეტინაზე ზევით უფასოთ ერთმევათ მიწა, თუნდაც ეს მიწა მათ მიერ ნაყიდი იყოს. განა მათ კანონიერის გზით არ შეიძინეს თავის დროზე მიწა, რომელსაც ახლა ახალი კანონით ართმევენ?

ჩვენ ვფიქრობთ რომ, რომ ის პირები და ფრაქციები, რომელნიც სიკვდილით დასჯის კანონის უკუმსვლელობითი ძალის წინაათმდეგ ილაშქრებენ, ემყარებიან მხოლოდ და მხოლოდ ზოგად იურიდიულ ფორმულას და ანგარიშს არ უწევენ ამ ფორმულის წარმოშობის ისტორიას. იურისტები არც ისეთი უხეში ფორმალისტებია, რომ ცხოვრების კანონები სახეში არ მიიღონ. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ რომ, იურიდიული დებულება უკუმსვლელობის შესახებ ჩვენს მოწინააღმდეგეებს მოყავთ ცალმხრივათ, რითაც არა იურისტები შეცდომაში შეყავთ. იურისტები ამბობენ: არ შეიძლება დამსჯელი კანონს უკუმსვლელობითი ხასიათი მიეცეს, როცა ის **უფრო დიდს სასჯელს აწესებს**, ვინემ ეს კანონის გამოცემამდის იყოვო. ახლა ვიკითხოთ: რომელ შემთხვევაში უფრო ირღვევა სახელმწიფოებრივი პრინციპი და კანონიერების გრძნობა: როცა დამნაშავეს ეშინია, რომ შეიძლება ხვალ კიდევ უფრო სასტიკი კანონი გამოვიდეს და დღეს ჩადენილ დანაშაულზედაც გავრცელდესო, თუ მაშინ, როცა ფიქრობს: როგორმე მოვახერხებ, საქმის გარჩევას გავაჭიანურებ და შემდეგ შეიძლება ისეთი კანონი გამოვიდეს, რომელიც უფრო მსუბუქ სასჯელს დააწესებს, ან ამნისტია მომისწრებს სულ განთავისუფლდებიო. ეჭვი არ არის ამ მეორე შემთხვევას უფრო შეუძლია კანონიერების გრძნობის შერყევა და სახელმწიფოებრივ პრინციპის დარღვევა, ვინემ პირველს.

სად უნდა ვეძიოთ საფუძველი აღნიშნულ იურიდიულ თეორიისა, რომელიც კანონისთვის უკუმსვლელობის ძალის მიცემის წინააღმდეგია? ეს გარემოება სულ ადვილი ასახსნელია: ეს ფორმულა ატარებს რევოლიუციონურ ჩანახახს, რამდენათ ის მიმართულია ფეოდალურ და ნახევრათ ფეოდალურ წყობილების წინააღმდეგ. იურისტები უნდობლათ უცქერიან როგორც სასამართლოებს, ისე დამსჯელ კანონებს საერთოდ და ამიტომ ცდილობენ ისინი რაც შეიძლება ადვილი ასატანი გახადონ სასჯელთა სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კანონის უკუმსვლელობას სავსებით უარყოფდენ და არ მოითხოვდენ უკუმსვლელობის აკრძალვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ახალი კანონი უფრო სასტიკ სასჯელს აწესებს.

მაშასადამე კითხვა ასე უნდა დაისვას: სასარგებლოა თუ არა მავნე პირების ულმობელი დასჯა თუ მათი შებრალება. და დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ თუ სიკვდილით დასჯა საჭირო და სამართლიანი არ იქნება, სასამართლო არც მიუსჯის ასეთს სასჯელს, რადგან კანონი მხოლოდ ნებას იძლევა სიკვდილით დასჯის და სავალდებულოთ სულაც არ თვლის მას სასამართლოსათვის.

ვიმეორებთ, რომ ჩვენ ამ საქმეში უნდა ვხელმძღვანელობთ საზოგადოების და რევოლიუციის ინტერესით, და არა განყენებულ მოსაზრებით, თორემ იძულებულე ვიქნებით უარვყოთ სავსებით სიკვდილით დასჯის კანონი, რადგან არის ერთი მოსაზრება და საკმაოთ სერიოზული: სიცოცხლე უმაღლესი განძია და რა ნება აქვს ვისმეს ეს განძი მოსტაცოს ადამიანს?

თუ ბოლომდე ჩავყვებით ჩვენი მოწინააღმდეგების ლოღიკას, უეჭველათ ასეთს დასკვნას მივიღებთ.

ელი.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

11 ივლისი.

**მოსკოვი.** პოპოვმა ალექსანდროვიჩთან ერთად მალულად მიიღო ეს ხალხი ჩვენს რაზმში, ამასობაში ჩვენ გვიმალავდა თავის რაზმის რაოდენობას. ის რაზმი შესდგებოდა წითელ გვარდიელ ფინებისაგან, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩეხო-სლოვაკურ ფრონტზე წავიდა, ბევრი პოპოვმა გარეკა და დარჩა 200 კაცამდე. არეულობის დროს რაზმში აღმოჩნდა სულ 200 კაცამდე. სპირიდონოვას ქალმა და სმვებმა დაინახეს თუ არა მათი გაუბედაობა, ოთახში მოაწყვეს მიტინგი, მეორეს მხრით მათი კაპიტნარიუსი ურიგებდა მათ ოროლ წყვილ ჩექმებს, კონსერვებს, და შაქარს. მათი ცრუ გადაცემა მალე გამოაშკარავდა, ჩვენ მოგვიყვანეს ტყვეთ თვითონ ვინგლინსკი.... (გამოტოვებულია) ორმოცი მათი კაცი აქ დაიჭირეს დახვრეტის შიშით. პოკროვის ყაზარმიდან მოიყვანეს უფროსი, რომელმაც გადმოგვცა, რომ პოკროვის ყაზარმა სახალხო კომისრების მხარეზეა. რომ ისინი გაეძლიერებინათ სულიერად, აძლევდენ არაყს და თითქმის ყველანი ნასვამნი იყვნენ. თვითონ პოპოვმა ყვილა, რომ ხედავდა ის ერთი, ჩვენი ამხანაგთაგანის თანდასწრებით დალია ერთი ჭიქა სპირტი... (გამოტოვებულია) მზვერავებისაგან, რომელნიც კრემლიდან იყვნენ გაგზავნილნი დასაზვერავად ერთი მოკლეს. როგორც გადარჩენილებმა გვიამბეს, ამ უწესრიგო სროლის დროს ბევრი გარეშე ხალხი დაზარალდა. უნდა ითქვას, რომ ყველა ფინები და ჯარისკაცები ვინგლისკის რაზმიდან და რომელნიც იდგენ ორ პატარა ზარბაზნთან... (გამოტოვებულია) ეშინოდათ დანარჩენი თავისი ამხანაგებისათვის. ისინი უკვე გრძნობდენ თავის მდგომარეობის უიმედობას და როდესაც მე მათ ვუჩვენე, რომ თვითონ ისინი იწვევენ ნემცებს, რომ სარდაფებში შეუძლია წავიდეს მხოლოდ მეთაურებს, რომ ნემცების მოსვლა ნიშნავს ხალხის სრულ დამონებას, ისინი გვიპასუხებდენ სპირიდონოვასაგან შესწავლილ ფრაზით: „არაა კარგი მირბახის წინაშე ლაქიობა". საღამოს მოირბინა ჩვენთან საბლინმა და დაბნეულმა პოპოვმა და გვაცნობა, რომ ყრილობაზე მიიღეს ტროცკის რეზოლიუცია მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების ჩაჩუმების შესახებ. შემდეგ პოპოვმა სთქვა, რომ მემარცხენე ს.-რ. ფრაქცია და სპირიდონოვა დააპატიმრეს, ის იმუქრებოდა, რომ კრემლის, თეატრის, ლუბიანკის ქუჩას ავაფეთქებო. სულიერი განწყობილება თანდათან ეცემოდა. როცა დაიქუხა ზარბაზანმა და პირველი ყუმბარა მოხვდა მათ შტაბს, მთელმა ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენ ფანჯარასთან გაირბინა (უკვე თავისუფალ ტანისამოსში), წინეთ კი სამხედრო ტანისამოსი ეცვათ. „მშიშრები გაიქცენ"... დაედევნა უკან.. (გამოტოვებულია). თითეულ ახალი გასროლის შემდეგ მატროსების რიცხვი კლებულობდა, რადგანაც შტაბის დანგრევის შემდეგ ყუმბარები ეცემოდენ იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიყავით მოთავსებულნი. ჩვენ მოვაწყეთ თანამგრძნობ ფინებისაგან და სხ. დამცველი რაზმი და გადავედით სახელოსნოში, ამ დროს ჩვენ მივმართეთ იქ შეგროვილ ჯარისკაცებს სიტყვით და ვუთხარით, რომ არ რცხვენიათ მათ რევოლიუციის მოღალატეებს რომ უჭერენ მხარს! მაშინ გამოხტა საბლინი და გინებით უბრძანა მათ დაეჭირათ თავიანთი ადგილები (პოსტები). სახელოსნოს ჯარისკაცებმა გადმოგვცა ჩვენ თოფები და ყუმბარები. იმ სახლის დანგრევის შემდეგ, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ს.-რევოლიუციონერებმა წაიყვანეს ცხენები და წაიღეს ზარბაზნები, გასაღები კი ჩვენმა თანამგრძნობ ჯარისკაცებმა ამოიღეს და წაიღეს. ამასთანავე განაცხადეს, რომ წავედით კუსკის ქარხანაშიო. დატუსაღებულთა რიცხვში იყვნენ გერმანიის და დანიის ქვეშერდომნი, რომლებმაც გვიჩვენეს თეთრი ფლაგები.

**მოსკოვი.** 9 ივლისი. სახაზინო გაზეთში ხმები მირბახის სიკვდილისა და დაწყებული აჯანყების შესახებ ისეთი მოულოდნელი იყო, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს არ სჯეროდათ ამ ხმების სიმართლე. მაგრამ ცნობის მიღებისათანავე მიღებულ იქნა ზომები. გზათა მიმოსვლის კომისარის ნევსკის თანაშემწის განკარგულებით გამოწვეულ იქნა საიმედო ნაწილი რკინის გზის დამცველ ჯარისა და დაყენებულ იქნა ექსპლოატაციის გამგეობის ირგვლივ. როგორც მოვიდა ცნობა ცენტრალური ტელეგრაფის დაჭერის, 300 კაცი უკვე მზათ იყო, ერმოკოვის ყაზარმებიდან ბრძანების მიღებისათანავე გამოსულიყო. დაუყონებლივ მოვიდნენ რკ. გზ. გამგეობაში რკ. გზ. ორგანიზაციათა წარმომადგენელნი და თათბირზე გამოწყობილ იქნა რკინის გზის, სადგურისა და მატარებლების დაცვის გეგმა. გააძლიერეს მცველები ნიკოლაევის, კაზანისა და კურსკის გზებზე. ყველა პასუხის მგებელი პირები თავიანთ ადგილას იყვნენ, აგრეთვე სხვა ამხანაგებიც, რომლებიც შაბათისა და კვირის განმავლობაში კომისარიატში და რაიონებში იყვნენ და ეხმარებოდენ სამხედრო უწყებებს. მუშების სულიერი განწყობილება მაშინვე გამოიყურავნდა სულელურ ავანტიურის წინააღმდეგ. ორლოვიდან შაბათს მოვიდა ცნობა, რომ ორლოვის რკ. გზა საბჭოს მხარეზეა. მხოლოდ ეს არ ითქმის რკ. გზის მოსამსახურეთა წვრილ-ბურჟუაზიულ ნაწილზე, რომელიც უკვე დის თუ როდის დაეცემა ბოლშევიზმი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რკ. გზის დამცველი ჯარი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას აჯანყების ჩასაქრობად. როცა მემარცხენე ესერად პოპოვის რაზმი მეორე სადგურის (კურსკის) დაჭერას ცდილობდა, კურსკის გზის სამხ. რევ. კომიტეტის რაზმმა იაკოვლევსკის მეთაურობით, გარეკა ესერები რკ. გზებიდან. სოც.-რევოლიუციონერები გაიქცენ ვლადიმირის გზით, მაგრამ აქ ისინი წააწყდენ ჩვენი სამხედრო და რკ. გზის რაზმებს (შემდეგ გამოტოვებულია).

11 ივლისი.

**მოსკოვი.** ორშაბათს გერმანიის საელჩოს ბინაზე გადახდილ იქნა პანაშვიდი მოკლული გერმანიის ელჩის მირბახის მოსაგონებლათ. რკინის გზის სადგურზე, საიდანაც განსვენებულის ცხედარი წასვენებულ იქნა სამშობლოში, საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ერთხელ კიდევ გამოსთქვა ღრმა მწუხარება რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის სახელით გრაფი მირბახის მოკვლის გამო. მიუხედავათ იმისა, რომ ენერგიული ზომები იქნა მიღებული მკვლელების აღმოსაჩენათ, ისინი ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინეს.

მემარცხენე ესერების მოულოდნელი გალაშქრება სახალხო კომისართა მთავრობის წინააღმდეგ დამარცხებულათ შეიძლება ჩაითვალოს, ესერების აჯანყება საჩქაროთ და საგანგებო ძალების დაუხმარებლათ ჩააქრო მოსკოვის გარნიზონმა. ქალაქში წესრიგი აღდგენილია, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. მემარცხენე ესერების კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლის გამო დაპატიმრებულია 1000 მეტი კაცი. ბოლშევიკების მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით მემარცხენე ესერების გამოსვლას მხარს უჭერენ რუსის ბურჟუაზიის წრეები და აგრეთვე ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმის აგენტები.

**ბერლინი.** რუსულ გაზეთების ცნობით სამთა კავშირმა 28 ივნისს არხანგელსკში გადასხა 10 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ფრანგებისა და სერბებისაგან შემდგარი, რომ ასეთი საშუალებით თავიდან აეცილებიათ როგორც ქალაქის ისე მისი ახლო მდებარე ადგილების ნემეც სამხედრო ტყვეების მიერ დაკავებისაგან.

**ჟენევა.** გერმანიის რადიო სადგურის ცნობით გუშინ საფრანგეთის პრესა აღტაცებული იყო გრ. მირბახის მკვლელობით. დღეს გაზეთები სწერენ, რომ მირბახის მოკვლას შედეგათ მოყვება მოსკოვის გერმანელი ჯარების მიერ დაკავებაო.

**ბერლინი.** კემმელის მიდამოებში, ლისთან და სომთან საღამოს ბრძოლამ ცხარე ხასიათი მიიღო. ღამით ფრანგთა მზვერავები თავს დაგვესხნენ. ნუაიონის სამხრეთ-დასავლეთით და ენის სამხრეთით ფრანგები დიდი ძალებით მოვიდნენ იერიშით და მათ შესძლეს გამაგრება პორტ-დე-ლეჟის და აგრეთვე ლონგ-პონტის ჩრდილო მდებარე პოზიციებზე. საშუალო ხაზზე მტერი გაფანტულ იქნა ჩვენი საარტილერიო სროლით. შატო-ტიერის დასავლეთით ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. რეიმსის ახლოს მტერი გულმოდგინე დაზვერვას აწარმოებდა. ლორდგიტენის ჩრდილოეთით შეტევის შემდეგ ფრანგების სანგრებიდან ჩვენმა ჯარისკაცებმა ტყვეები მოიყვანეს.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის პირად საარტილერიო სროლა: მტრის ერთ ბანაკს ჩვენმა ბატარეიამ ცეცხლი გაუჩინა. იორდანეს აღმოსავლეთით მტრის მზვერავები ცდილობდენ ზოგიერთ ადგილებში წინ წამოწევას, რაიც მოვიგერიეთ სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

**პარიზი.** ფრანგთა ჯარებმა ზოგიერთ ადგილებში შევინის ფერმასთან შესძლეს მტრის სანგრების გარღვევა. ფრანგებმა დაიკავეს ლაგრილის ფერმა და კარრიერის აღმოსავლეთით მდებარე რამდენიმე რაიონები. ფრანგმა მზვერავებმა რამდენიმე ტყვე წამოიყვანეს.

**სოფია.** რუსეთის ელჩმა და ბოლგარეთის რწმუნებულმა გუშინ ერთმანეთს გაუცვალეს ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულობის დამტკიცებული დოკუმენტები.

# უკანასკნელი ცნობები

## „ამიერ კავკასიის გლეხთა სოციალისტური რაზმი".

ამ სათაურით კავკაველ ბოლშევიკების „ტერსკაია პრავდას" 5 ივლისის ნომერში შემდეგი ცნობაა მოთავსებული. რაჭის მაზრიდან წამოვიდა გლეხთა სოციალისტური რაზმი ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით (რუსეთის კომუნ. პარტიის ქუთაისის კომიტეტის წევრია). რაზმი 400 კაცისაგან შემდგარი უკვე მოვიდა კავკავში, საიდანაც ის წავიდა საქართველოს სამხედრო გზით, რომ იქ შეუერთდეს აჯანყებულ გლეხებს კონტრ-რევოლიუციონ. ამიერ-კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ. რაზმი კარგათ არის შეიარაღებული და უზრუნველყოფილია ყველაფრით.

## თერგის ოლქში.

„ტერსკაია პრავდას" სიტყვით თერგის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში ყაზახთა შორის კონტრ რევოლიუციონურ მოძრაობას უჩენია თავი, რომელიც თურმე ვითარდება. უკანასკნელი ცნობებით მოზდოკში გაურეკიათ მუშათა დეპუტატების საბჭო.

## ფ ა ს ა ნ ა უ რ ი

ფასანაურიდან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბს ატყობინებენ: 10 ივლისს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათ. ბრძოლა სწარმოებდა. მოწინააღმდეგეთ აღმოაჩნდათ 2 ზარბაზანი. ჩვენ რაზმს მიზნათ აქვს წაიწიოს ყაზბეგის მიმართულებით. ბოლშევიკებს ანანურში აღმოაჩნდათ 153 იაშიკი „მომპასი". ეტყობათ კავკავთან აქვთ კავშირი და იქიდან ღებულობენ დახმარებას. ფასანაურებამდე გზაზე სიწყნარეა. გლეხები თუმცა შეშინებულნი არიან ხულიგანურ ბრბოების მიერ, მაგრამ მაინც უბრუნდებიან მუშაობას. გვარდიელები ანანურიდან სოფლებში გადიან და უხსნიან გლეხებს არსებულ მდგომარეობას. გლეხები თანაგრძნობით ეგებებიან. როცა გაიგეს, რომ ისინი ხიფათს გადაარჩინეს, ძმას ძმის სისხლი არ დააღვრევინეს. ძლიერ აღელვებულნი არიან, რომ ბოლშევიკებმა ისინი შეცდომაში შეიყვანეს. დუშეთში და ანანურში მოქმედობს რევოლიუციონური ტრიბუნალი.

## დუშეთის ფრონტზე

ანანურიდან გუშინ შუადღისას ტელეფონით გვაცნობეს, რომ ჩვენი ჯარი ფასანაურიდან მხნეთ მიიწევს წინ ბრბოს წინააღმდეგ. დაზვერვას აღმოუჩენია, რომ ბრბოს კიდევ აქვს სამი ზარბაზანი და რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი, ამბობენ რომ აჯანყებულთ ცნობილი სერიოჟა ქავთარაძე ხელმძღვანელობსო.

# დ ე პ ე შ ა.

**თიანეთი.** მომხდარ მიტინგზე დადგენილ იქნა სრული ნდობა გამოეცხადოს ნ. ჟორდანიას მეთაურობით შემდგარ მთავრობას; კრება აღუთქვამს მხარი დაუჭიროს მთავრობის ნაბიჯებს და დადგენილებებს ჩვენი ქვეყნის ახალ წყობილების გასამტკიცებლათ.

კრების მონდობილობით ბ. გელეზიანი.

**თელავი.** ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ თელავი სავსეა ლტოლვილებითა და მოაგარაკეებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ავათმყოფობა და სურსათის კრიზისი. ამისათვის თვითმართველობა სთხოვს ყველას თელავში ნუ წამოვლენ; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება ჩამოსულები თელავის სადგურიდან დააბრუნოს უკან.

ქალაქის თავი კ. ანდრონიკაშვილი.

# ახალი ამბები

**საქართველოს ეროვნული საბჭო.** სხდომა შესდგება დღეს, 14 ივლისს. დღის წეს რიგი: ცნობა კომისიებში გადაცემულ კანონ პროექტის შესახებ, 1) საბოლოო რედაქცია ეროვნულ საბჭოს კანცელარიის შტატების და ხარჯთაღრიცხვის კანონისა—მომხსენებელი რ. არსენიძე, 2) საბოლოო რედაქცია ჭიათურის შავ ქვაზე საფუთო გადასახადის გადიდების კანონისა, 3) საბოლოო რედაქცია საქ. ჰამხ. გზაზე სპეციალურ სადარაჯო რაზმის კანონისა—მომხსენ. რ. არსენიძე, 4) განხილვა საქ. რესპ. მოქალაქეების კანონ-პროექტისა—მომხსენ. რ. არსენიძე, 5) სამანდატო კომისიის წინადადება საბჭოს წევრთა კანდიდატების შესახებ—მომხ. თ. კიკვაძე, 6) შალვა ქურუმიძის შეკითხვა—ზოგიერთ გაზეთის საავიტაციო მოქმედების შესახებ სახელმწიფოს წინააღმდეგ, 7) საფინანსო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევა.

◆ **ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატისაგან** თფილისის მოქალაქეთ. აღნიშნულია, რომ ყოველდღე 150 აბონენტამდე ტელეფონის ტრუბკას თავის ადგილიდან იღებს, რათა ზარის რაწკუნმა ღამე თუ სხვა დროს ის არ შეაწუხოს. ამგვარი საქციელი იწვევს ორნაირ ზარალს; 1) ყოველდღე იწვის ას ორმოც და ათი ფანარი, რაც კომუტატორს სრულიათ უვარგისათ ხდის და 2) დაკავებულია ყოველდღე 150 შნური, რაიც აფერხებს ტელეფონისტკების მუშაობას, ვინაიდან 150 შნურით იგინი ვერ სარგებლობენ და ეს გარემოება თავის მხრით ძლიერ აჯავრებს აბონენტებს. კომისარი სთხოვს მოქალაქეთ სიფრთხილით მოეპყრან საზოგადო ქონებას და თუ ეს საქციელი დღეიდანაც გაგრძელდა, გაცემულია განკარგულება აბონენტს მაშინვე დაუკეტონ ტელეფონი, როდესაც ის ტრუბკას გადმოიღებს და შემდეგ თავის ალაგას არ დადებს.

◆ **შრომის სამინისტრომ** სთხოვა მთავრობას დააკმაყოფილოს სამხედრო გზის მოსამსახურენი.

◆ **პოლკ. კონიაშვილის დაჯილდოვება.** დუშეთის მაზრაში ანარქიასთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის პოლკ. კონიაშვილს ებოძა გენერალ-მაიორობა.

◆ **სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად** საქართველოში დანიშნულ იქნა ბ. ევანგულოვი.

◆ **ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელ** მ. ჯაფაროვმა აღუთქვა სომხის მთავრობას, მიიღოს ზომები, რომ სომხის ხალხის წარმომადგენლებმა მშვიდობიანათ გაიარონ ადერბეიჯანის ტერიტორიაზე.

◆ **ქუთაისის დამხმარე** კომიტეტის თავჯდომარე ჩხიკვიშვილი დეპეშით ატყობინებს ეროვნულ საბჭოს. ჩვენ აქ რაც ფული გვქონდა უკვე დავურიგდა ლტოლვილებს. საქველმოქმედო საზოგადოებას კიდევ უნდა გამოეგზავნათ ორ მილიონ მანეთამდე ლტოლვილების და დამშეულების დასახმარებლად, თანახმად ყოფილი ამიერ კავკასიის მთავრობისა და სეიმის დადგენილებისა; ვამოწმებთ რა, რომ გურიაში დიდი შიმშილობაა, თქვენ რწმუნებულებას გაძლევთ და საქველმოქმედო საზოგადოებას გთხოვთ ქუთაისის გუბერნიისათვის დანიშნული ფულიდან 300 ათასი მანეთი თქვენ გამოგცეთ პურის შესაძენათ ქიზიყში. გვიპასუხეთ რა იმედი უნდა ვიქონიოთ.

◆ **მკვლელობა.** 10 ივლისს კვირაცხოვლის ქუჩაზე მე-5 ნომრის მდგურმა განუცხადა მე-9 კომისარიატს, რომ სახლის პატრონი ჩიტაშვილი რამდენიმე დღეა არა სჩანს და ამ ბინიდან მკვდრის სუნი გამოდის. მილიციონერებმა გააღეს ოთახი და დაინახეს სახლის პატრონი ყელ გამოჭრილი. საწოლ ოთახში ჩიტაშვილის ცოლი თოკით ჩამოკიდებული იყო.

◆ **ქალაქის შრომის ბირჟა** სთხოვს ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებებს, რომლებთანაც არსებობს შრომის ბიურო გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელი შრომის ბირჟის საერთო კრებაზე შაბათს, საღამოს 6 საათზე. გამოსარკვევია საინტერესო საკითხები. ვსთხოვთ ყველას კრებას დაესწრონ. კრება მოხდება ქალაქის შრომის ბირჟის შენობაში, მადათოვის ქუჩა № 11. ზუბალაშვილის სახლი.

◆ 10 ივლისს, საღამოს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მილიციონერებმა აღმოაჩინეს ენფიანჯიანცის ფაბრიკის გაჰგეს ესაიანცის გვამი.

# პროვინციის ქრონიკა

**ლაგოდეხის** რაიონი მდებარეობს სიღნაღის მაზრაში, ზაქათალის ოლქის და თელავის მაზრის საზღვრებ შუა ერთის მხრივ და მდ. ალაზნის და დალესტნის მთებს შუა მეორეს მხრივ. მთელი ეს რაიონი შესდგება ჭიაურის სახაზინო მამულით, სავაჩნაძიანოთი და ანდრონიკაანთ მამულით, სულ ზომით შეიცავს 70,000 დღს.

მიწის მიმღებმა კომისიამ დაიწყო მუშაობა ორ ივლისიდან და ადგილობრივ დაბა ლაგოდეხის მემამულეებისაგან უკვე 11 მამული მიიღო: 1) მარკ კონკოვის მემკვიდრეებისა—26 დ. 1200 კ. ს. 2) ფირან შავერდოვის ძის სერებრიაკოვისა—10 დ. 480 კ. ს. 3) ივ. ისტრებოვის ბაღი 6 დღს. 4) ხაჩატურ ნარინიანცის საბაღე ადგილები—10 დ. 1000 კ. ს. 5) სიმონიმნცას ბაღი—7 დ. 6) ასლანიანცის ბაღი—7 დ. 7) საინჟინერო მმართველობის—24 დ. 1800 კ. ს. 8) მლაკასევიჩის მამულიდან სასახლე ადგილები—5 დ. 9) პ. ი. თუმანიშვილის—55 დ. 200 კ. ს. 10) სურენიანცისა—175 დ. 260 კ. ს. და 11) ირ. გუნცაძისი—40 დღს.

რუსების აყრილ სოფლების მამულების მიღებას განვაგრძობთ და ვაცხადებთ მათ წინაშე, ვინც თავის ნებით ჩასახლდა ამ სოფლებში და სხვა ადგილებშიაც უჭირავთ მამული, მათ ამ ადგილებში მიწის ნორმა არ მიეცემათ და უნდა გაანთავისუფლონ დაუყოვნებლივ. ეს სოფლებია შემდეგი: ელისავეტოვკა, რომანოვკა, ალექსეევკა, ილარიონოვკა, ვარანცოვკა, გრაფოვკა და დაშკოვკა.

დანარჩენ მემამულეების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ თავიანთი მისამართი გვაცნობონ, რათა მათ უწყებები დაუგზავნოთ. როდესაც მათ მათ მამულების მიღებას დავიწყებთ გაზეთებში თავის დროზე გამოცხადებულ იქნება. ჩვენი მიმღები კომისია ლაგოდეხში იმყოფება.

# გ. ვ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო

**სიღნაღის** სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია სწუხს გიორგი პლეხანოვის გარდაცვალების გამო. პროლეტარიატმა პლეხანოვის სახით დაჰკარგა საუკეთესო მასწავლებელი და მამა სოციალიზმისა.

**სუფსის** რაიონის პარტიული კრება მწუხარებას გამოსთქვამს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელის გ. პლეხანოვის სიკვდილის გამო. კრება ფიცს სდებს, რომ ის ივლის იმ წმიდა გზით, რომელზედაც ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი მიგვითითებდა. არ დაუშვებთ ძირს ერთხელ აფრიალებულ თავისუფლების დროშას.

**ქვემოხანის** (გურია) ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია უერთდება საერთო გლოვას და ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს უძვირფასეს მასწავლებლის გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვის გარდაცვალების გამო.

**ლანჩხუთის** პარტიული კრება ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს დიდ მასწავლებლის გ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო. იზიარებს ყველა ქვეყნის შეგნებულ მუშების მწუხარებას, უგზავნის რუსეთის შეგნებულ მუშებს თანაგრძნობას და მოუწოდებს გამოფხიზლებას პლეხანოვის დროშის ქვეშ.

**ძ. ცარიცინის** ქართველ მუშათა ორგანიზაცია მუხლ მოდრეკს გიორგი ვალ. პლეხანოვის საფლავის წინაშე და ფიცსა სდებს—ერთხელაც არ უღალატებს იმ მოძღვრებას, რომელიც მან ჩანერგა მუშების გულში. მუშები დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს მის წმიდა სახელს.

საქართველოს სამხედრო კომისარი

გრიგოლ ს. კოპიძე.

# მუშათა წერილები

## პურის სპეკულიაცია.

არა ერთხელ დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მადა გახსნილ სპეკულიანტის თავ აშვებულ თარეშის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროთ, დაწერილი ქაღალდის ფურცლებზე რჩება და სისრულეში მომყვანი არავინ სჩანს. თითქოს ხალხი კიდეც შეეჩვია ვაჭრების და სპეკულიანტების ასეთ თავგასულობას და არავითარ წინააღმდეგობას აღარ უწევს მათ. პირიქით, დღეს მუშას, ხელოსანს, მოხელეს და სხვ. გაეხსნათ ვაჭრობის მადა.

საითაც მიიხედავ, ყველგან სავაჭრო „ბუდკებია", ან ეხლა აშენებენ. და ვინ გინდა, რომ მათში არ ვაჭრობდეს? ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით თქვენ ქუჩებში, მოედანზე და სხვ. უსუფთაო ადგილებში, დაყრილ პურს, რომელსაც აქ მამასისხლათ ჰყიდიან. პურის საცხობებში ყოველთვის 1 მ. 1—50 კ. ნაკლებათ შეიძლება იყიდოთ პური, მაგრამ სპეკულიანტები პურს ტომრებით იტაცებენ დილითვე. საცხობში პური აღარაა და იძულებული ხარ ქუჩაში ეძებო. ყველა ეს, რათქმა უნდა საზოგადოების ღარიბ ნაწილს აწვება კისერზე მძიმე ტვირთათ. მდიდარს ერთი რომ არც ისე ენაღვლება პურის სიძვირე და მეორეც მას შეუძლია აქვს გაგზავნოს მსახური და დილითვე შეიძინოს პური საცხობში, სანამ სპეკულიანტები დაიტაცებდენ. მუშებს კი პურის ყიდვა უხდებათ სადილის წინ ან საღამოთი სპეკულიანტებისაგან და იძულებული ხდება მთელი თავისი დღიური ჯამაგირი ერთ გირვანქა პურში მისცეს. საჭიროა თვით მთავრობა ჩაერიოს ამ საქმეში და მიიღოს ენერგიული ზომები. უნდა სასტიკათ აიკრძალოს ქუჩებში და სხვა და სხვა დუქნებში პურის გაყიდვა. პური უნდა იყიდებოდეს მხოლოდ საცხობებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუჩებში დაყრილი პურით საზრდოობას შეიძლება ავათმყოფობაც მოჰყვეს (პურს მტვერი და ჭუჭყი ბლომათ ემატება), რაც ისედაც გაჭირვებულ ხალხს უარეს განსაცდელში ჩააყენებს, მით უმეტეს დღეს, როდესაც ხოლერამ უკვე თავი იჩინა თფილისში.

ვ. მეტრეველი.

# ნიკო ცინცაძე

კუბოს კუბო ემატება და ჰქრებიან სამოქმედო ასპარეზიდან, ჩვენი საუკეთესო, ბრძოლაში გამოწრთობილი ამხანაგები.

აწ განსვენებული ნიკო 903-დან მოუქანცავი მომუშავე იყო ჩვენს საერთაშორისო ოჯახში. 905 წელს ის მიხაილოვში იღებს აქტიურ მონაწილეობას ყოველ-გვარ გამოსვლებში. იქვე რეაქციის სუსხს მოყვა, რომელმაც კარგა ხნით ჩაჭედა ბნელ სავანში და შემდეგ კი ციმბირშიაც გაისტუმრა. იქ მას მანიფესტი უსწრებს და ანთავისუფლებს. შემდეგ უბრუნდება რკინის გზის სამსახურს და ძველი გზით სვლას. ნიკო მთავარი კონდუქტორი იყო და თუ, ერთათ ერთი არა, პირველთაგანი მაინც იყო რკინის გზის პროლეტარისა. მას როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, ზედ მიწევნით პატიოსანს და საღ მოაზროვნეს, იცნობს ბაქოს, ბათუმის, მიხაილოვის, თფილისის და გურიის ამხანაგები. განსვენებულის უკანასკნელი, ტანჯვით წარმოთქმული და გაგებული სიტყვა, შეკითხვა იყო ფრონტზე მყოფ გვარდიის შესახებ. ვინ იცის, რა ფიქრები მიაქვს საფლავში, მის საყვარელ არსებაზე. ის ვერ მოესწრო სავსებით გულის წადილს. შენი წმინდა ცხედრის წინაშე მუხლმოდრეკით ფიცს ვდებთ, რომ სანამ ცოცხალია თფილისის მუშა, ის იმ დროშას დაბლა არ დახრის, რომლის ქვეშ შენც იექი.

შენი აკაკი.

ცხედარს წაასვენებენ გურიაში სოფ. აკეთში დღეს სამგზავრო მატარებლით. გამოასვენებენ ბინიდან (ანდრეევის შესახვევი № 6) 2 საათზე.

# ეროვნის გარშემო

**თფ. სამაზრო საერობო არჩევნები.** თფილისის განაპირა უბნებას და სართიჭალის ოლქში ხმოსანთა არჩევნები მოხდება 14 ივლისს.

თფ. განაპირა უბნების ოლქში სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას № 2 სიით წამოყენებული ჰყავს კანდიდატები; 1) მამულაშვილი ლევან ანტონის ძე, თფ. მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარე, თფილისი, 2) გვანცელაძე, ნიკოლოზ ივანეს ძე, უფროსი ტოპოგრაფი, თფილისი, 3) იზხანოვი მიხეილ მიხეილის ძე, ნაფიცი ვექილი თფილისი, 4) წამალაშვილი, მიხეილ ფირანეს ძე, მეურნე, ავჭალა, 5) ხელაძე ივანე ექვთიმეს ძე სამიწადმოქმედო სამინისტრ. ემისარი თფილისი, 6) გალუსტიანი, აშოტ ბოგდასარის ძე, გამომძიებელი (უპარტიო) თფილისი, 7) სუთიაშვილი დარჩო ივანეს ძე, მეურნე, დიღომი, 8) კაუტერი ფრიდრიხი მეურნე, ალექსანდროვკა, 9) გაგლოშვილი იობ თებოს ძე, კოოპერატორი, ავჭალა, 10) ოგანეზიშვილი ბაგრატ ემორის ძე, მეურნე, ლისი, 11) მენთეშაშვილი გიორგი სტეფანეს ძე, მეურნე ვაშლოვანი; 12) შახმულაშვილი იოსებ ივანეს ძე, მეურნე წყნეთი, 13) ბაბა-ასლან-ოღლი მეურნე, საბურთალო.

**სართიჭალის ოლქში** სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, სოციალ-ფედერალისტებთან შეთანხმებით აყენებს შემდეგ კანდიდატებს:

1) ასათიანი, ლევან გიორგის ძე, ვექილი, მაზრის აღმასრ. კომ. თავმჯდ. თფილისი; 2) ჭიაბერაშვილი, ანდრო, ეროვნულ საბჭოს წევრი, თფილისი; 3) ჰესელიძე, იოსები, ქალაქის გამგეობის წევრი, თფილისი; 4) ჯილაური გიორგი დავითის ძე, სართიჭალის რაიონის კომისარი, პატარძეული; 5) ბერძნიშვილი მაქსიმე დავითის ძე, ფილოლოგი, თფილისი; 6) კანჯარაშვილი ვასილი, საუბნო საად. მამულო კ—ს თავმჯდომ. გიორგიწმინდა; 7) ავეტიკოვი, ალექსანდრე ავეტ., საგარეჯოს აღმ. კომიტეტის წევრი, საგარეჯო; 8) ბილანიშვილი არჩილ გიორგის ძე, ინჟინერი, თფილისი; კანდელაკი, მიხეილ ნიკ. ძე, აგრონომი მარტყოფი; 10) თევდორაშვილი გიორგი, მემანქანე თფილისი; 11) კანდელაკი გიორგი, კოოპერატორი თფილისი; 12) ბილანოვი ვალერიანე, მუშა თფილისი; 13) დავითაშვილი მიხეილ დიმ., მეურნე საგარეჯო; 14) სიროვატკინი პავლე, მწერალი გომბორი; 15) გასანოვი ფაშა, მეურნე მუღანლო; 16) ქურხული ნიკოლოზ იოსების ძე, რკინის გზის მუშა საგარეჯო; 17) ჯილაური მიხეილ სოლომონის ძე, მეურნე პატარძეული; 18) მანველიძე ილია, მეურნე საგარეჯო; 19) ქურდოვანიძე იოსებ სოლომ., მეურნე საგარეჯო; 20) გძელაძე ნიკოლოზი, მეურნე გიორგიწმინდა; 21) მეკოშკიშვილი ალექსანდრე, მეურნე ნინოწმინდა; 22) გურჯანიძე ვასილ ივანეს ძე, მეურნე, გიორგიწმინდა; 23) ბერძნიშვილი გიორგი, მეურნე გოხლიაური; 24) ქურხიშვილი სანდრო იოსების ძე, მუშა საგარეჯო.

# ბოლშევიკების შემოსვლა რაჭაში

24 ივნისს (ახალი სტილით) ხმა გავრცელდა ზემო რაჭის სოფლებში, რომ „ბოლშევიკები შემოვიდნენო", თავზარდაცემული ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა რომ: „ზღვას გადავრჩით და წვეთი დაგვახრჩობს. რადგან რაჭა ბრძოლის ველათ გადიქცევაო".

არ ვიცოდით, რომელ მხრიდან გვიტევენ დაუპატიჟებელი სტუმრები და ამიტომ შვიდი ვერსის მანძილზე ფეხით წაველი ონში, რომ გამეგო საქმის ვითარება, თუმცა წინდაწინ ვიცოდი, რომ უსიამოვნება შემხვდებოდა, როგორც მათს მოწინააღმდეგეს. 25 ივნისს დილის შვიდ საათზე მდინარე ჯეჯორის ხიდზე გაველი. ხიდს იცავდა შეიარაღებული ბრბო. მიბრძანეს, რომ „ონიდან აღარ გამოგიშვებთო". განვებ დაბრუნება დავაპირე, მარა ამის ნებაც აღარ მომცეს. სოფელ მოედანში შევედი, ხალხი მგლოვიარეთ იყო.

შეჯგუფებულ ქალებს მივესალმე და ვანუგეშე, მარა ჩემი ნუგეში არაფრათ მიიღეს, რადგანაც ბოლშევიკებს მათთვის გამოეცხადებიათ, რომ ამ სოფლიდან ქალები და ბავშვები გაეხიზნათ. ერთმა მოხუცმა ქალმა შემომჩივლა: „თუ ჰი ჩვენი მომხრე არიან, ღმერთმა გაუმარჯოთ, მარა ეტყობათ, ჰი, რომ ჩვენი დამღუპველები უნდა იყვენ და რალა გვიშველებაო. მე შესაფერი დარიგება მივეცი ქალებს და ერთი შეგნებული ამხანაგის ნახვა მოვინდომე, მარა ის იქ აღარ იყო და სოც.-ფედ. მეგობარს მივაბარე რევოლვერი და საათი და შევედი ონში.

ონის დუქნები დაკეტილია. ბოლშევიკების ჯარი ბუზებივით ირევიან. მე გრულათ ლაპარაკობენ. რადგან მე მეგრული ვიცი, ყურს ვუგდებ მათს ლაპარაკს. ლაპარაკიდან ვიგებ, რომ ბოროტი განზრახვით არიან მოსული ჩვენში. მართლაც და, რაღა მარტო მეგრელები მოგვევლინენ ბოლშ.-სოციალისტ. რატომ სხვები არავინ ურევიან ოთხას კაცში ოთხი თუ ხუთი სხვა ლეჩხუმელის მეტი... არა, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ესენი ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ იბრძვიან და მოღალატის როლში გამოდიან. ამათი მიზანია ძარცვა-გლეჯა და ცხოვრების არევა.

ვინაიდან მეთაური უფროსი ამხანაგები ყველა წასულან, გაუწრიათ და ყველა საბუთები და ფული გადაუმალავთ. ღმერთმა უშველოთ, ჩემო რაჭველებს, რომ [illegible] შემოსვლა. ონის [illegible] რები ონიდან [illegible] სხვა ცილსა სწამებენ, ერთი მათგანი ივ. ჯანუაშვილი ყველაზე მეტს ყბედობს...

ვხედავ ბოლშევიკები ონელებს ძალით დუქნებს აღებინებენ. აგერ მათი ბელადი ა. გეგეჭკორი, რომელსაც „კოლიასაც" ეძახიან შეიჭრა ბერუაშვილებთან და ბეღლიდან სიმინდი და პური გამოაქვს. ეგერ ჩალავდრებმა სიმინდი შემოიტანეს ცოლოშვილის გამოსაკვებათ, მარა „კოლიამ" ამათაც ჩამოართვა და ყველა ამას თავისი ჯარისთვის წისქვილში აგზავნის დასაფქველად... აგერ სადალაქოებია ავსებული და „ზაპასით" თავსა და პირს იკეთებენ ჯარისკაცები. ფულის მიცემას კოლიაზე აპირებენ და ამავე დროს ერთმანეთს მეგრულათ ეუბნებიან „ეს ხომ კაზიონია, ფულს ჯერ მიირთმევთო". „უმფროსი" სხვადასხვა განკარგულებას ახდენს ბაზარში და შედის ონის სამმართველოში, სადაც უცდის „კამენდატი აფიცერი". სამართველოში კი მცირე თათბირის შემდეგ 150 ათას მანეთს კონტრიბუციას ადებს ონის ვაჭრებს. ყველა საზოგადოების კომისარებს უგზავნის თავის ბრძანებას. ეგერ ყველა გასავალი გზები შეკრეს და ონიდან აღარავის აღარ უშვებენ, აგერ ჯარისკაცები დათარეშობენ დუქნებში და რასაც ყიდულობენ, ძლიერ ცოტა ფასს იხდიან, რათაც საწყალი ხელოსნები მეტათ უკმაყოფილოც არიან... აქა იქა ონელი ამხანაგები გეუბნებიან: „რა ეშმაკმა მოგიყვანა დღეს აქ, ხომ შენც გაები მახეშიაო". გასასვლელი ბარათისათვის მეთხეთ ავედი სასამართლოში, მაგრამ ამაოდ.. ყველა ამ დღეს ონში შესულები დაგვაკავეს. (არა საიმედო პირებათ გვცნეს).

სხვების დახმარებით მე გავახერხე შვიდი კაცით ონიდან გამოსვლა. მომცეს „პროპუსკი", მაგრამ ჩემდა უნებურათ ჩემი პასუხისმგებლობით გამატანეს ჩვენი საზოგადოების კომისართან თავიანთი ბრძანება... როცა „პროპუსკს" მიწერავდენ, სწორეთ ამ დროს ამოვიდნენ ს. მოედნიდან კაცები და უფროსთან განაცხადეს, რომ „თქვენი ჯარისკაცები გვჩხრეკავენ და მოგვეხედეთო, უფროსმა ირონიულათ გადახედა აფიცერს და ვითომც უბრძანა, რომ ზომები მიიღო. მჩხრეკავი ჯარისკაცები მოიყვანეს უფროსთან და ისიც ვითომც ცხარობ, ჯავრდება და მრისხანებს. ჯარისკაცები გეგეჭკორს თოფებს უმიზნებენ. ხედავ ამ კომედიას და გული გიკვდება. ვაკვირდები ამათ ავაზაკურ სახეს, ამათ მოქმედებას და ვშიშობ, ვშიშობ, რომ ამათი აქ ამოსვლით რაჭას მოელის უბედურება, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, მიუხედავათ ბოლშევიკების ფაფხურისა და ბრძანებებისა რაჭველები ვერ მიიმხრეს. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ნაწილმა რაჭველების ამ დამალვით ნიკოლოზის მთავრობას უღალატა აგრეთვე ამიერ-კავკასიის მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკასაც. ეს ჩვენ კარგათ ვიცით, მხოლოდ მობოლშევიკე ჯარისკაცები თუ შემოსულ ბოლშევიკებს მხარს არ დაუჭერდნენ და დაემალებოდნენ ეს კი არ გვეგონა. თუმცა ზოგი ერთმა ხულიგან ბოლშევიკებმა ზოგი ერთი სოფლები შეავიწროვეს თავისი ავაზაკური მოქმედებით. მაგალითად, სოფელ შუქმერი დაარბიეს შუქმერის „ბოლშევიკებმა" ას შვიდი თუმნით და დანარბევი ფულით სამი დღე იქეიფეს. ამ ბრბოს მეთაურობს ძველი ნაციმბირალი (ქურდობის თაობაზე) როსტომა ნაცვლიშვილი. ნასალდათარებს ამ სოფელში იარაღიც ბლომათ აქვთ, აქვთ და მეტათ უწესოთ იქცევიან. აგრეთვე წითელ გვარდიას თავადების მომხრეთა ნათლავენ და ამითი ხალხს გულს უტეხავენ. პირადათ მე რაც უსიამოვნება მომაყენეს რაჭის ხულიგან პროვოკატორებმა ამაზე შემდეგ.

ზემო რაჭველი გლეხი.

რაჭიდან ჩამოსულებმა შემდეგი ქაღალდი გადმოგვცეს, რომელიც დაბეჭდილია რუსულათ რემინგტონზე. მოგვყავს თარგმანი სიტყვა-სიტყვით: „რუსეთის კომუნისტური პარტია ბოლშევიკების. ფრიად საჩქარო. ბრძანება. დასავლეთ ამიერ-კავკასიის წითელ სოციალისტურ არმიისადმი. № 5. ნაწილი „სტროევოი". 25 ივნისი 1918 წელი. ქ. ონი.

§ 1.

დასავლეთ ამიერ-კავკასიის სოციალისტური წითელი არმიის სამხედრო-საველე მთავარი შტაბი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ბოლშევიკებისას, ყველა წევრებს და წარმომადგენლებს პარტიისას, ყველა შტაბებს და სოციალისტური წითელი არმიის შტაბებს დღესვე მოახდინონ პარტიული ამხანაგების და ჩვენი თანამგრძნობთა შეიარაღებული ძალების მობილიზაცია და ხუთშაბათს, 27 ივნისს, დილის 9 საათზე მოვიდნენ ქ. ონში დასავლეთ

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ წითელი არმიის სამხედრო-საველე შტაბში— ონის სამაზრო კომისარიატის შენობაში. მთავარი სამხედრო—საველე შტაბის თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი. მთავარ-სარდალი არმიისა კ. ჭავჭანიძე.

ამ ბრძანებას წარწერა აქვს №... კომისარს. „გთხოვთ თქვენი პირადის პასუხის მგებლობით ჩააბაროთ ეს ქაღალდი ჩვენს პარტიულ ამხანაგებს და სიტყვა-სიტყვით აუხსნათ მისი შინაარსი".

როგორც „ტერსკაია პრავდა" სწერდა საშა გეგეჭკორის რაზმი უკვე მისულა სამრეთ ოსეთის გზით კავკავში და ახლა ეს „სოციალისტები" და „წითელი არმია" თფილისისკენ მოიწევს საქართველოს სამხედრო გზით.

## ქუთაისის აპ-პარში

### ახალგაზდა ებრაელები.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორი დევნილი ერია ებრაელობა. ვინ არ იცის, თუ რა დევნას განიცდიდა ეს ერი მონარქიულ და დესპოტიურ რუსეთში და ამიტომ თუ კი რომელიმე კლასი, ან ერი აღფრთოვანებით შეხვდა ამ დახავსებული მთავრობის დამხობას, მით უმეტესი აღფრთოვანება გამოიწვია მან დევნილ ებრაელობაში. რევოლიუციის პირველ დღიდანვე სხვებთან ერთად ქუთაისის ებრაელობაც ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში განსაკუთრებით ენერგიულ მოქმედებას იჩენდენ აქაური ახალგაზდა ებრაელები.

რევოლიუციის პირველ ხანებში ესენიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ რევოლიუციონურ საქმიანობაში და დაიარსეს: „ახალგაზდა ებრაელთა კლუბი", რომლის წევრები და ხელმძღვანელები ენერგიულათ მოქმედებდენ როგორც ქალაქის, ისე დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს. როგორც მოსალოდნელი იყო ებრაელების დიდი უმრავლესობისა სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ შემოიკრიბა.

გული სიამით ევსებოდა ადამიანს, როცა ხედავდა ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე და გულწრფელად მომუშავე ებრაელთ, რომლებიც სცდილობდენ განვითარება და სინათლე შეეტანათ ქართველ ებრაელობაში.

მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია ამ კლუბმა შეაჩერა თავისი მოქმედება რა არის მიზეზი? რამ გამოიწვია ამ ხალხის ნაყოფიერი მუშაობის შეჩერება? ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რა მიზეზიც არ უნდა იყოს, მაინც მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაეთვლებათ ამ ახალგაზრდობას ასეთი უმოქმედობა, მით უმეტეს დღეს, როდესაც რევოლიუცია განსაცდელშია, როდესაც მას ყოველ მხრიდან მოელის საფრთხე, როგორც შიგნიდან, ისე გარედან და თუ რევოლიუცია დამარცხდა ეს ხომ თვით ებრაელების დამარცხებაც იქნება?

ამიტომ მოუწოდებთ ახალგაზრდა ებრაელობას, რომ კვლავ შეუდგენ მუშაობას კვლავ შეუდგენ მუშაობას, კვლავ შემოიკრიბონ კლუბის გარშემო, და განაახლონ კულტურული მუშაობა.

ი ნატაშვილი.

## პატარა კაცის ელდა.

— რა ვქმნა, რას უნდა ჰნიშნავდეს ესა?—ჰფიქრობდა განცვიფრებული მოხელე გახუნებულს „მუნდირში" გამოწყობილი.. რის მომასწავებელია ასეთი სიიაფე?...

სამი წელიწადია, რაც ამ მაღაზიის თაროზე გადმოდგმულია მეფე ნიკოლოზ მეორის დიდი სურათი, ლამაზად და მოხდენილად მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული.

რამდენჯერ უყურებია და უოცნებია მისით მოხიბლულს... რამდენჯერ მწარედ ამოუოხრებია, რომ შეძლება არა ჰქონია მისი შეძენისა. ხუმრობა ხომ არაა... სამი თუმანი ჰღირდა... მოხელე კი სულ 25 მანეთსა ჰღებულობს... მან ყულაბში შეგროვებაც კი იწყო გროშებისა, მაგრამ როდის მოესწრებოდა ამოდენა თანხის შეგროვებას?.. რაც უნდა ეზოგნა და ეყაირათნა თვეში ორ მანეთზე მეტს მაინც ვერ გადაარჩენდა. ისიც ბეჯითი იყო.

— ახ, რა მშვენიერია, რა ლამაზია.. ეს სურათი რომ ჩემს ოთახს ამკობდეს. არ დაუყენებდი თვალებს ჩემს მტრებსაო—ამბობდა ხოლმე მოხელე, მაგრამ სიდიდე, სამი თუმნისა გულს უკლავდა... უწყლულებდა...

ახლა კი... ღმერთო ეს რას ჰნიშნავს... —რას ჰნიშნავს ასეთი სიიაფე?.. რად დააუწევიათ ასე საარაკოდ ფასი... ოთხი მანეთი, წარტო ოთხი მანეთი ღა ჰღირს ღვთით ნაკურთხი მეფის სურათი..

ნუ თუ, ნუ თუ მართლა ბედმა გაუღიმა ბედმა... ნუ თუ მას შეუძლიან იყიდოს მისი იმპერატორობითი უდიდებულობის სურათი, დაჰკიდოს სახლში და დასტკბეს მისის ბრწყინვალებით ..

მას ახლა თამამად შეუძლიან სტუმრად მოიწვ ოს სამდივნოს უფროსი, ვისზედაცაა დამოკიდებული მისი დაწინაურების საქმე.. ადრევ ეთავაზებოდა, რცხვენოდა დაპატიჟება, აბა ამ ნესტიან ჭუჭყიანს სოროში როგორ ვაკადრებ მისს მაღალ კეთილშობილებას მოწვევაო, ახლა კი ეს სურათი ნიკოლოზ მეორისა გააგანიერებს მისს ოთახს... ბედნიერების ჩიტუნიებით ააჭიკჭიკებს, სიხარულის შუქით აახჩახებს...

იგი ფეხ-აკრეფით შევიდა მაღაზიაში და გაუბედავად ჰკითხა ფასი სურათისა.. ჰშიშობდა ემანდ ეშმაკობა რამე არ ედვას მაღაზიის პატრონს გულში და გამატრიზავებელი სიცილ-ხარხარით არ დამხვდესო...

ოცი წელიწადია, რაც იგი მსახურობს და ერთხელაც არ გაჰბრწყინებია სახე ისეთის შვებით და ნეტარებით, როგორც გაუბრწყინდა ახლა, პასუხად რომ მიიღო სურათი ნიკოლოზისა ოთხი მანეთი ალირსო...

მან საჩქაროდ დაუთვალა ფული, გამოართვა სურათი და ისე სწრაფად გაემართა სახლისაკენ, თითქოს ჰშინებოდეს—ემანდ გონს არ მოვიდნენ, არ დაინანონ ასე იაფად რომ მომყიდეს და კაცები არ დამადევნონო....

ისე მიემართებოდა სახლში, რომ არავის ამჩნევდა... ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად...

მაგრამ... მაგრამ...

ამას რას ჰხედავს მისი თვალები... რა ესმის მისს ყურებს?..

აგერ, აუარებელი, ზღვათ ოდენი ხალხი შეგროვილა მოედანზე... წითელი დროშების ხეივნები შემოურტყავს ირგვლივ და ჰბობოქრობს...

აგერ, აგერ!.. ჯარის-კაცი შეუსვამთ მხრებზე და გაისმის მისი ზარდიანი ლაპარაკი. „პროლეტარიატის და გლეხკაცობის თავ-განწირულმა ბრძოლამ სძლია ყველ ყორნებს.... ჩამოაგდო ტახტიდან მტარვალი, სისხლს რომ სწოვდა საუკუნეთა განმავლობაში... მისი ძალაუფლება ისე გაბათილდა და მოისპო, როგორც ეს სურათიო"—სთქვა მან, მიფხრიწ მოფხრიწა ნიკოლოზის სურათი და ჰაერში გაიქნია...

მოხელემ დაინახა თუ/არა ეს სითავხედე ორატორისა—უნდოდა ეყვირნა: „გოროდოვოი"! მაგრამ ვერ მოახერხა... კრიჰა შეჰკროდა ელდისაგან.. ციების ჟრუანტელი უვლიდა ტანში ..

ღმერთო, ეს რა არის... ნუ თუ სინამდვილეა.. ნუ თუ ზღვათ ოდენი ხალხი გადაირია, ჰკუაზე შეიშალა მკვრეხნელობს იმპერატორის სურათზე, საშინელს ამბოხებას ჰხედავს...

ორატორი განაგრძობდა:

„დადგა განკითხვის დღე... ქვეყნის მოღალატე ნიკოლოზ მეორე და მისი დამქაში მინისტრები ახლა ციხეში არიან გამომწყვდეულნი და ელიან რევოლიუციონურ ტრიბუნალის მსჯავრს".

ამან უფრო თავზარი დასცა მოხელეს... მისი გული, მისი თავი ოცი წლის მონობაში დახრილ-გამოჩერჩეტებული ვერ შეჰრიგებოდა ამას და ეგონა ყოველივეს სიზმარში ჰხედავდა...

აი მაღლე იგრიალა ტაშმა და დასძახეს კიდეც რევოლიუციონური სიმღერა...

ამ სიმღერამ მახვილივით ღაუარა ტანში და პირქვე დაეცა გულშეწუხებული...

მეორე დღეს გაზეთის ახალ ამბავში მოთავსებული იყო შემდეგი: გუშინ სწრაფ-დამხმარებელი ეტლით ქალაქის საავათმყოფოში მიიყვანეს მოხელე მ. 5., რომელსაც გული გასკდომოდა მიტინგზე. ავადმყოფს ორივე ხელით მაგრა ეჭირა ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის სურათი.. სამედიცინო დახმარებამ ვერა არგოსრა... ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა".

დ. თურდოსპირელი.

## მამულიშვილნი

სიტყვა მამულიშვილი წინეთ მონოპოლიათ იყო გამხდარი იმ პირთათვის, რომელნიც, მხოლოდ ღვინის სმის დროს იგონებდენ „მამულს" და „ოდელია დელია საქართველო ჩვენიას" გაიძახოდენ.

ქვეყნის მშენებელი და მხნელი „შავი" ხალხი, მუშები—ყველასაგან მიგდებულ მივიწყებულნი იქ, სადაც ქარხნების გამურულ-გამჭვარტლულ კუთხეებში ეწეოდენ ყოველ-დღიურ ჰაპანს ლუკმა პურისთვის. ეს ილაჯ-გაწყვეტილი და შრომისაგან მოღალული ხალხი, თუ ხმას ამოიღებდა თავისუფლებისთვის, მათ ათასგვარი სისასტიკით უმასპინძლდებოდენ, მათ სამშობლოს და მამულის მტრებათ რაცხდენ და ამ რიგათ ისინი კანონის გარეთ იყვენ დაყენებულნი ..

ეხლა დრონი იცვალენ!

თქმულებაა, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენიო" მგონი არც ერთი ხანა გაამართლებს ისე, როგორც თანამედროვე, ჩვენი ხანა!

ვისაც თვალნი ხედვათ აქვთ და ყურნი სმენათ, უნდა კარგად დაინახონ და დაიხსომონ, თუ ვინ იცავს ეხლა სამშობლოს და მამულს და ვინ ყიდის და ღალატობს მას...

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ჩვენი პატარა რესპუბლიკის ვანდეა— დუშეთის მაზრა. ვინ იბრძვის იქ, რომ დაიხსნან თავისუფლება და მამული აოხრება-განადგურებისაგან?

ვინ და სწორეთ ის „შავი", ხალხი მუშების და გლეხების შეგნებული ნაწილი, რომელიც წმინდათ და პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას მამულის წინაშე... კარგა ხანია ამ ხალხმა ჩაქუჩ-გუთანთან ერთად იარაღს მოკიდა ხელი და სასიკვდილოთ ექვეთება ყველას. ვინც კი აღიმაღლებს თავის ბინძურ ხელს თავისუფლებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ზღაპრული და გმირული თავგანწირვა გამოიჩინა ჩვენმა სახალხო გვარდიამ და იმ ჯარებმა, რომელნიც მათთან ერთად იბრძვიან, იბრძვიან ყველას: ქართველ შოვინისტებს, სომხის ხულიგანებს, რუსის შავრაზმელებს, თათრის მუსავატისტებს, და საერთოდ ყველას შინაურ და გარედან მოსულ ბნელეთის მოციქულებს გამრყვნელი ბალშევიზმის სახით, რომელმაც გახრწნა და გაათახსირა მთელი რუსეთი, გადარჩა მხოლოთ ჩვენი პატარა ქვეყანა, და ეს გულზე კბენს ყველა ჩვენს მტრებს და იგინი ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ჩვენ რესპუბლიკასაც რუსეთის ბედი სწიონ.

ჩვენმა სახელოვანმა გვარდიამ შეგნებულ ჯარის ნაწილებთან ერთად, ყველას კისერი მოუგრიხა და ამით ქვეყანა გააკვირვა. მიუხედავათ მრავალი ბოროტი ენის სისინისა, რომელთაც უნდოდათ გვარდია და რეგულიარული ჯარი ერთმანეთის მოსისხლე მტრათ გადაექცია— ისინი ერთი მეორეს დაუახლოვდენ და შეთანხმებული მოქმედებენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ათასი თვალი უნდა გამოიბას ყოველმა მოქალაქემ და ჩვენმა მრავალ ტანჯულმა გლეხკაცობამ, რომ კარგათ დაინახონ, თუ ვის ებრძვის და ვის ინტერესებს იცავს სახალხო გვარდია. როდესაც ჩვენი გვარდია ცხინვალში ხულიგნებს ებრძოდა, მაშინ ოსების შოვინისტებმა ეს თავის სასარგებლოთ გამოიყენეს და დასცხეს განგაში: არიქა ქართველები მოგვესივნენ და არსებობის უფლებას არ გვაძლევენო, როდესაც იგივე გვარდია სამეგრელოში აჯანყებას აქრობდა, იქაური ხილიგნები იმასვე გაჰკიოდენ, რასაც ოსებისა. გაგვიჩნდა ბორჩალოს მაზრა, რომელიც თათართა ყაჩაღ - ბრბოების თარეშმა მოიცვა ოსმალების აგენტების ხელმძღვანელობით. ჩვენი გვარდია და ჯარი იქაც სახელოვნათ იბრძოდა და თავისი ვალი წმინდათ შეასრულა. აქ თათრის მუსავატ-ბეგებმა ასტეხეს განგაში და აწყურის თათრებს უთხრეს: ქართველებმა ბორჩალოში თქვენი ძმები დაარბიეს და სამაგიერო გადაუხადეთო, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო. ბორჩალოს შემდეგ ვიფიქრეთ ახლა მოვისვენებთქო, მაგრამ იფეთქა დუშეთის ამბოხებამ, სადაც მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ქართველებისაგან შესდგება, გლეხები გაჰყვენ ბალშევიკების პროვოკაციას და აჯანყდენ. მერე ვინ უდგას სათავეში ამ აჯანყებას? ვინ და ყველა ეროვნების ხულიგან პროვოკატორები: სულის გამყიდავი ოფიცერი ხაჩატუროვი, მედუქნე ჩარჩი ყულაძე, ვერაზე კარგათ ცნობილი ჯაშუშ პროვოკატორი და ბოლოს „პრისტავათ" ნამყოფი ლადო ბერიძე, ძველი თვითმპყრობელობის ლაქია ვინმე ოფიცერი აბაევი, ნაპოლიციური ხუბაშვილი, (ოსებია) ნაციონალ-დემოკრატი გელოვანი, ურიადნიკათ ნამყოფი ბიძინა არაბული და მრავალნი რუსის „ჩინოვნიკები" და სხვები, რომელთა ვინაობა თანდათან ირკვევა. აი ვინ ახდენს დუშეთის მაზრაში „სოციალისტურ" რევოლიციას! ამ ხულიგან ინტერნაციონალისტებს ხელიხელს მიუციათ და დარაზმული იბრძვიან დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ. სავალალო და სატირალი ის არის, რომ ამ შავბნელ პირებს გლეხკაცობა აუყოლებია და ამ ჰირნახულის აკრეფის დროს იარაღით ხელში მთაბარს მოსდებია, თითონაც არ იცის, რისთვის და ვისთვის, და ამით ითხრის საკუთარ სამარეს.

მიწა-ადგილის დაკარგვის შიშით დაბრმავებული ჩვენი გლეხი უჯერებს ყველას, ვინც გარეგნულ ტკბილ და მომხიბლავ სიტყვას ეტყვის და არ უკვირდება იმას, თუ ვინ ელაპარაკება ამ ტკბილ სიტყვას. აქ მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელსაც ადგილი ჰქონდა დ. საჩხერეში არეულობის დროს. იქ მივიდა სტრაჟნიკათ ნამყოფი ერთი ოსი, შეაგროვა ხალხი და მიმართა: „ჩვენო ძმებო გლეხებო, ჩვენო ჭირში და ლხინში დამხმარენო, გვიშველეთ, შემოგვესია თავად-აზნაურის — წერეთლების — შავი რაზმი; გვხოცავენ, მიწებს გვართმევენ, ქალები გაგვიუპატიურეს, ნივთები წაგვართვეს და ახლა თქვენკენ მოდიანო". ამ მოწოდებამ და აგიტაციამ გასჭრა და ხალხი მყისვე შეიარაღდა და შეესია საჩხერეს. ეს ხდება იმ დროს, როდესაც მთავრობას აუარებელი მიწისმზომლები და აგენტები ჰყავს დაგზავნილი, რომ მიწები გლეხებს ჩააბარონ. იქამდინ მოიწამლა ხალხის გონება, რომ აღარ უკვირდება, თუ რას ჩადის...

აქ უნდა აღვნიშნო, რომ მრავალ ოჯახში და კერძო ლაპარაკის დროს, აშკარათ მოქმედებენ ჩვენი სახელოვანი გვარდიის წინააღმდეგ, რაც ყოვლათ შეუწყნარებელია. თუ ვინმე დღეს გადარჩა განადგურებას, ეს სწორეთ იმ გვარდიის წყალობით, რომელშიაც თავგანწირვით იბრძვს ყველა ეროვნების წმინდა დემოკრატები და რევოლიუციონერები. ცრუ მამულიშვილებს მოუმართავთ თავისი გესლიანი ენა და მოქმედება ქვეყნის დასაღუპავათ, და ოდესღაც გერათ გამოცხადებული მუშა ხალხი თავგანწირვით იცავს მამულს და თავისუფლებას. წინ, ამხანაგებო, მედგრათ, არაფერს არ შეუშინდეთ, სიმართლე თქვენკენ არის.

ს. მაისურაძე.

## მოვალეობის მსხვერპლნი

როგორც სოხუმიდან გვატყობინებენ, იქ ეგრედწოდებულ ბალშევიკებთან ბრძოლის დროს მოუკლავთ ამხ. გრიშა კუხალაშვილი და დაუჭრიათ მისი ძმა აკაკი.

გრიშა ნამდვილი განხორციელება იყო სპეტაკი, ერთგულათ თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანის. მას სულს უხუთავდა, რომ ვერც კალმით და ვერც სიტყვით ბნელეთის მოციქულებთან ბრძოლა არ შეეძლო.

მაგრამ მას შეეძლო მათ წინააღმდეგ იარაღით გამოსულიყო და გამოვიდა კიდეც. აპრილში ის თავისი ძმით მოხალისეთ ჩაეწერა ქართულ განსაკუთრებულ ბატალიონში. ამ დღიდან მისი ოჯახი ძლიერ შევიწროებული იყო სოფ. კინჩხის ხულიგანურ ბრბოსაგან. ბევრჯერ სიკვდილით, ბევრჯერ დაწვით დაემუქრენ მის მშობლებსა და ოჯახს, მაგრამ ორივე ძმები მაინც განაგრძობენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას. უკანასკნელ დღემდე ორივე ძმები სხვა ამხანაგებთან ერთად განაგრძობდენ თფილისის დაცვას. სოხუმში წასვლის ერთი საათით წინ გრიშა შემოვიდა ჩემთან და მითხრა: ბედნიერი ვარ იმ მოღალატეების წინააღმდეგ რომ მაგზავნიან. დეე მოვკვდე, ოღონდ ჩემგან გასროლილ ტყვიამ ერთით მაინც შეამციროს მტრის რიცხვიო. ბრძოლის დროს დაეცა მებრძოლი შეგნებულათ, რწმენით, რომ მან თავი შესწირა ხალხის კეთილდღეობას.

განისვენე ამხანაგო! შენი სიკვდილი დიდი დანაკლისია შენი ამხანაგებისათვის, მაგრამ დაე შენი თავგანწირვამ მაგალითი გვიჩვენოს შენ ამხანაგებს, თუ როგორ უნდა ბრძოლა რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ. შენი ამხანაგები დააფასებენ შენს თავგანწირვას მით, რომ უკანასკნელ დღემდე განაგძობენ ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას.

დათიკო გა—ლია.

## ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

1.

**შტატების გადიდება თუ შემოკლება?**

რამოდენიმე თვის წინეთ, ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო მართველობამ მიიღო მთავრობისაგან ბრძანება, სადაც აღნუსხული იყო შტატების შემოკლების აუცილებელი საჭიროება ფოსტა ტელეგრაფის უწყებაში ამის შესახებ დაარსდა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი საოლქო კომიტეტი და და დასასრულ მიღებულ იქნა პროექტი, რომელშიაც განხილული იყო, როგორ უნდა მომხდარიყო შტატების შემოკლება, რადგანაც ადმინისტრატიული ფუნქციები საოლქო კომიტეტის ხელში იყო, უნდა ვთქვათ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რომ იგი არამც თუ თავს იკავებდა ახალი მოხელეების მიღებაში და დღიდან მთავრობის განკარგულებისა, არამედ თითქმის ყველა მთხოვნელს ცივი ვარით ისტუმრებდა. მაგრამ, როგორც კი საოლქო კომიტეტი გადაყენებულ იქნა და მისი ადგილი დაიჭირა ფოსტა-ტელეგრ. ცენტრალურმა გამგეობამ, რომელსაც წესდებაში არავითარი ადმინისტრატიული ფუნქცია და არც კანტროლი ადმინისტრაციაზე არ აქვს, აი სწორეთ ამ დროს წამოყვენ თავი მუსელიუს-ლინდენების ძველმა დამქაშებმა, რომლებიც დიდი ხანია საოლქო მართველობაში მოკალათებულან და მიუხედავათ მთავრობის განკარგულებისა, განაგრძობენ ძველებურათ მოხელეების მიღებას უწყებაში.

ჩვენს წინ ოფიციალური ცნობები დევს, რომელიც გვაუწყებს, რომ ამ ერთ თვის განმავლობაში დღემდის შეუღიათ 127 მოსამსახურე, მათ შორის 37 კაცი კერძო პირებია. კიდევ 13 მოსამსახურე, რომლებიც ეგრეთ წოდებული „ზავშვების" თანამდებობიდან განთავისუფლებული და დათხოვნილი იყვნენ ხუთმეტ ივნისიდან მთავრობის განკარგულებით. დღეს ყველა ეს პირები მიღებული არიან, მაგრამ რისთვის? პასუხი ერთია „ოცში ჯამაგირის მიღებისთვის". ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, რომ თფილისის მთავარი ტელეგრაფის შემოსავალი თვეურათ არ აღემატება 15 ათას მანეთს, გასავალი კი მილიონს უდრის. მთავარი ფოსტას დეფიციტმა სხმა თვის განმავლობაში ზევრათ გადააჭარბა ნახევარ მილიონ მანეთს. ასეთი „შემოსავალი" მოაქვს შედარებით პროვინციების კანტორებსაც. აქედან ყველა ცხადათ დაინახავს, თუ როგორ დაცემულა მუშაობა ფოსტა-ტელეგრ. უწყებაში. შტატები კი ისევ ძველი არის და შემოკლების მაგივრად ადიდებენ და ამით უფრო ზედმეტ ხარჯებს აძლევენ ჩვენ ხაზინას. ჩვენ დარწმუნებული ვართ. რომ ის პირნი, რომლებიც „პრიკაზებზე" ხელს აწერენ, თავს ვერ გაიმართლებენ, რადგანაც კარგათ იციან, რომ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები მოსამსახურეების დამატებაში არავითარ საჭიროებას არ ხედავენ, პირიქით ტყვილა მყოფ მოხელეებს ტყვილა მყოფები მიუმატეს.

თავის თავად ცხადია, რომ ეს ვაჟბატონ—„ფილონტროპები" მიტომ განაგრძობენ თვითნებობას და ღებულობენ ახალ-ახალ მოხელეებს, რომ შტატების შემოკლების დროს სალიკვიდაციო ფულები ჩამოგლიჯონ ჩვენ ხაზინას.

ამასთან ერთად მუსელიუს-ლინდენები, რომლებიც საოლქო მართველობაში მოკალათებულან, ცდილობენ გაამრავლონ თავისი ჯგუფი—თავის „სოტოვარიშჩებით", როგორიც არის მაგ. ბ-ნი ზახაროვი, რომელიც ოლქის უფროსის მუსელიუსის დროს მსახურობდა ოლქში და მოხელეების მიღების დროს ერთგვარ „ატესტაციას" უკეთებდა უკანასკნელთ: ეს 1905 წელში „ზაბასტოვშჩიკი" იყოო და სხვ.

ასე ზრუნავს ჩვენ ღარიბ ხაზინაზე ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო მართველობა და ასეთ „დემოკრატ" ზახაროვებს უყრის იგი თავს ჩვენს უწყებაში.

რომ გაიწმინდოს ფოსტა-ტელეგრაფის უწყება ბბ. მედნიკოვ-ბორისოვ-ზახაროვ-ბოროდზინებიდან და სხვა ამგვარ პირებისაგან, რომლებსაც ზედმეტ ხარჯებში შეყავს ჩვენი ხაზინა, თვითნებობენ და ამით ერთგვარ ღალატს სჩადიან, ჩვენის ღრმა რწმენით, საოლქო მართველობის შენობა დაუყოვნებლივ უნდა დავანგრიოთ და მის ადგილზე უნდა შევქმნათ ისეთი მართველობა, რომელიც დემოკრატიულ ნიადაგზე იქნება აშენებული. მაგრამ დანგრევა და ახალის აშენება მთავრობის საქმეა და მან უნდა გადადგას ამისთვის საჩქარო ნაბიჯები.

2.

**ქართული ტელეგრაფის ანბანი.**

ყველამ იცის, რომ ქართულ ანბანში მოიპოვება რამოდენიმე ისეთი ასო, რომლის მზგავსი რუსულ და ევროპიულ ენების ანბანში არ მოიპოვება. ტელეგრაფის ანბანი ევროპიულ ენებისთვის ერთია, რუსულ ენისთვის უმრავლესათ ასოები ისეთია, როგორც ევროპიულ ენისთვის; გამონაკლისს შეადგენს ის ასოები, რომლების გამოთქმას ევროპიულ ენებში ადგილი არა აქვთ: ѣ, ы, я, ъ, ь და სხვ., მაგრამ ამ ასოებისთვის რუსეთში ახალი ტელეგრაფის ნიშნები კი არ შეუქმნიათ, დაიხმარეს იმ ასოების ტელეგრაფის ნიშნები ევროპიულ ენებიდან, რომლებსაც რუსულ ანბანში ადგილი არა აქვს: მაგალითად, d, y, x, z და სხვა

ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ გამგეობას შეუმუშავებია ქართული ტელეგრაფის ნიშნები—ანბანი, და უმრავლესობა ნიშნებისა დაუტოვებია, როგორიც არის მიღებული საერთაშორისო უცვლელად, მხოლოდ ასოებისთვის: წ, ქ, d, ყ, ჰ და სხვა შეუთხზავს უცნაური ნიშნები. მაგალითად, ტელეგრაფისტს რომ დასჭირდეს აპარატზე სიტყვა „წადი"-ს გადაცემა, მან ასე უნდა გადასცეს—ტცადი—ე. ი. ასო წ გადიცემა ორი ასოთი: ტც ერთად შეერთებული. ასეთი სიუცნაურე არის ჩადენილი ასო ქ შესახებაც, რომელიც გადიცემა ორი ასოთი —კი—ესე იგი, რომ გადავცეთ სიტყვა „ქუთაისი", იქნება ასე: „კიუთაისი".

აღნიშნული გამგეობა ასეთი ნიშნების შემოღებას ასაბუთებს ასსოციაციით, მაგრამ უნდა მოგასენოთ, რომ ასეთი ასსოციაცია ტელეგრაფის ნიშნებში არაფერი მოსატანია.

ცენტრალურ გამგეობას ავიწყდება, რომ დღემდის ტელეგრაფის ანბანი ასსოციაციით არ არის შემდგარი, მაგრამ აუარებელი დამახინჯება ხდებოდა დეპეშებში. და თქვენ თუ ასეთი შეთხზული ანბანები შემოიღეთ ცხოვრებაში გასატარებლათ, ტელეგრაფის მოხელეები ყოველთნის წყევლა-კრულვით მოიგონებს ასეთ ნიშნების ავტორებს.

უფრო მეტი უცნაური ნიშნები გამოუგონია ცენტრალურ გამგეობას ასოებისთვის: ჰ და ჯ, რომლებიც გადიცემა აპარატზე დაცდის და შეშლის ნიშნებით, მხოლოთ ეს ორი უკანასკნელი ნიშანი, თუ საჭირო იქნება, ორჯელ ზედიზედ უნდა იქნეს გადაცემული. ჩვენ არ ვიცით რათ დასჭირდა გამგეობას ასეთი ნიშნების შემოღება და რათ არ შემოიღო ზემოხსენებულ ასოებისთვის ის ნიშნები, რომლებიც იხმარება საერთაშორისო ანბანისთვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება შესდგეს კომისია ჩვენი უწყების და რკინის გზის ტელეგრაფის წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქართული ტელეგრაფის ნიშნები-ანბანი და შესწავლის შემდეგ დ[illegible] რობას დასამტკიცებლათ.

[illegible]

## ხაშურის ქალაქის საბჭო

(18 ივნისის სხდომის დადგენილებანი)

თავმჯდომარეობდა ნ. პატარიძე.

1) დამტკიცებულ იქნას საბჭოს 11 ივნისის ოქმი.

2) იზრუნოს გამგეობამ ქალაქისთვის ხორბლის შეძენაზე და თუ მოკლე დროში მან ეს უკანასკნელი ვერ იშოვა, შეამციროს პურის გაცემა სულზე ნახევარ გირვანქამდე. გამოძებნოს გამგეობამ სახსარი, კრედიტის გახსნითა და სხ. სახით, ქალაქის ალსაწერათ. მიიღოს მხედველობაში მეფურნის ბოროტ-მოქმედება და კანტროლი გაუწიოს მის ყოველ-დღიურ მოქმედებას ამ საქმეში. გაწმენდილ იქნას ხორბალი და მიენდოს სიფრთხილით მისი შეძენა საბჭოს სახელით ე. რატიას და ლ. მეტრეველს.

3) მოწონებულ იქნას მოქმედება ქალაქის თავის ქალაქის ექიმის ძებნის საკითხში და ეთხოვოს მას მალე მოაწესრიგოს როგორც ექიმის, აგრეთვე საავათმყოფოს დაარსების საკითხი ხაშურში.

4) დაევალოს თავმჯდომარეს ნ. პატარიძეს აღიჭუროს საბჭოს დავალების და თანახმათ ყოველნაირ ქაღალდებით და წარსდგეს მთავრობის წინაშე, რათა ხაშურში გადმოტანილ იქნას ახალციხის ხაზინა.

5) გაფართოვებულ იქნას ლტოლვილთა დამხმარე კომისია და მათი მოქმედება ხაშურში, მოხსნილ იქნას ამ კომისიიდან ე. ფაჩულია, რადგან იგი სამსახურით არ იმყოფება აქ, რის გამო ვერ ესწრება კრებებს, კრება ირჩევს კომისიას ხუთი კაცისაგან: დ. სულიაშვილს, გ. ინასარიძეს, ლ. მეტრეველს, გ. ელისაბედაშვილს და უმუდუმოვს. მათ ევალებათ მიიღონ საშვალებანი ადგილობრივ ლტოლვილთა ბედის შესამსუბუქებლათ, დადგან მათ სასარგებლოთ წარმოდგენები, გააფრთხილონ ბაკურიანისა და ბორჯომის ადმინისტრაცია, საიდამაც ღამე, ფეხით გამორბიან აქეთ ლტოლვილები და ვარდებიან კიდევ მეტ გასაჭირში.

6) რომ საზღვარი დაედოს აქაურ ყასაბთა ალვირ-წახსნილობას, დაევალოს ამხ. რატიას და მეტრეველს შეიძინონ ბაკურიანში ქალაქისათვის საკლავი საქონელი, რაც მთავრობისაგან ამ დროთ ნება დართულია.

7) ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, გამოიმუშავოს ხორბლის რეკვიზიციის კანონ-პროექტი. ხალხს კი ეცნობოს, რომ არავითარი კერძო ხორბლის დაბევება არ მიიღება და ჩამოერთმევა მათ, რადგან იგინი ხელოვნურათ ასწევენ ფასს და ხელს შეუშლის მთავრობის მოქმედებას.

8) აღიძრას შუამდგომლობა თავმჯდომრის პატარიძის სახით მთავრობის წინაშე, გადაკეთებულ იქნას ქ. ხაშური სამაზრო ქალაქათ იმ უპირატესობის ძალით, რომ ხაშური საშუალო ადგილია გორსა და ახალციხეს შუა, შუაში გაუდის მთავარი რკინის გზის ლიანდაგი და დამარჯვებით მდებარეობს იქით-აქეთ სურამ-ბორჯომი.

) სატეხნიკო კომისიამ უნდა გამოიკვლიოს ყველა სახელმწიფო, საეკლესიო და უპატრონო ადგილები ხაშურში, გადასინჯოს მათ გეგმა და წარმოუდგინოს საბჭოს სრული მასალა, რაც-კი ძალაუფლებას მისცემს ქალაქს გამოუცხადოს მფლობელობა და დაეპატრონოს მას.

10) გაფართოვებულ იქნას ზემოჭალის საქალაქო სასწავლებელი, მოეძებნოს მას ბინა. დაევალოს სასწავლებლის ზედამხედველს დ. მელიქაძეს და სასკოლო კომისიას გამგეობასთან ერთად იზრუნოს ამ საქმეზე.

11) გაიგზავნოს თფილისში ქალაქთა კავშირის კრებაზე საბჭოს მხრივ ქალაქის თავი სულიაშვილი.

12) შეუერთდეს ხაშურის გამგეობა სურამისას საერთო სახის საქმეებში და ერთად ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაონ.

13) უყურადღებოთ დატოვებულ იქნას ტელიაფუსის ბაღის მოიჯარადრის თხოვნა ბაღში ღვინით ვაჭრობის ნების დართვაზე.

14) რადგან ელექტრონის სადგურის გამგეთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებ ლათ გამგეობამ ვერ შესძლო თფილისიდან სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის მოწვევა, კრებამ დაადგინა დაკმაყოფილდეს ადგილობრივი ძალებით, ირჩევა ინჟ. ძნელაძე, რატიადა კაპანაძე.

15) სასაკლაოს ზედამხედველის ინასარიძის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას კრება ანდობს სატეხნიკო კომისიას.

16) საბჭომ უყურადღებოთ დასტოვა ადგილობრივ ბუფეტის გამგის ჩაქოვანის თხოვნა, რომელიც თხოულობს პურს ქალაქიდან მუშტართათვის.

17) ხორცზე ნიხრის გამომუშავება საბჭომ დაავალა სოხუმის კომისიას გამგეობასთან ერთად.

ალექსანდრე მაჭარაშვილი.

# საად.-მამულო რეფორმა

**ს. ვაჩნაძიანში** მოვიდა გამოცდილი აგრონომებისაგან შემდგარი საოლქო მიწის განსაკუთრებული კომისია. კომისიას თავმჯდომარეობს ფირალოვი. ამ კომისიაში დანიშნა თელავის საადგილ-მამულო კომიტეტმა თავის რწმუნებულად გ. თევდორაშვილი. ეს კომისია მიიღებს ლევან ჯანდიერის მამულს, რომელიც საუკეთესოთ არის დამუშავებული თითონ ლევან ჯანდიერის ქალის მიერ, რომელსაც საზღვარგარეთ აქვს დასრულებული სამეურნეო კურსები. შემდეგ კომისია გაემგზავრება წინანდალში ვერმიშევის მამულის მისაღებათ. იქიდან ალაზნის გაღმა რაიონში და შემდეგ რუისპირში.

X.

# რკინის გზაზე

**რკინის გზის სამმართველო.** მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება მთელ სამმართველოში უკვე მოხდა. უმთავრესად დათხოვნილ დროს იხელმძღვანელეს პოლიტიკურად არა საიმედოობის პრინციპით.

გამოირკვა, რომ მთელი სამმართველოს მოსამსახურეების 90 პროცენტი არა საიმედო პირები ყოფილან პოლიტიკურად, დარჩენილებში კიდევ ბევრი მოიპოვებიან რევოლიუციის ორგულნი. მაგრამ სამწუხაროდ, დარჩენ მიტომ, რომ, საიმედოთა რიცხვი საკმაო არ აღმოჩნდა. ძველ მთავრობას, სჩანს ხელოვნურად შეუზავებია ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარი აპარატი—ქეშმარიტ რუსთა კავშირის წევრებისაგან.

ეს მოვლენა იმდენად გასაკვირი არაა, რამდენადაც ის, რომ გზაზე ადმინისტრატიულ ალაგებზე კვლავ ბუმბერაზ რეაქციონერებს სტოვებენ. უყურადღებობაა ეს თუ გაუგებრობა?

დათხოვნილები სხვადასხვა მუქარას და ხმებს სთხზავენ. ისინი უკვე ხმებს ავრცელებენ, თითქო რკ. გზის ნაციონალიზაციის შესახებ ხელს უწყობენ დანარჩენ მოსამსახურეებს გულგრილობაში.

ჯამაგირების და საერთოდ ფულების საკითხი კვლავ საჭირ-ბოროტო დღიურ საკითხათაა დარჩენილი. ვერ იქნა, ვერ მოეწყო ეს საქმე. არ იქნებოდა ზედმეტი მთავრობა ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს.

მოძრაობის განყოფილებაში ბევრი მოსამსახურეები ნაციონალ-დემოკრატობენ. სამწუხაროდ, ეს პირები ვულგრილობას იჩენენ სამსახურის პირნათლად ასრულებაში. სჩანს, პარტიული ქინაინობით ხელმძღვანელობენ.

ჩვენი ადმინისტრაცია კარგი იქნება ცოტა სიმკაცრის და განკარგულებების ფხას გამოიჩენდეს, რამე თუ მტრებს არ სძინავთ და თავის საქმეს აკეთებენ. ინვენტარს ყოველდღე აკლდება, თითქო უპატრონო იყოს.

შტატს გარეშე დარჩენილი მოსამსახურეები ზოგი საქართველოს რესპუბლიკაში რჩება, ხოლო მცირე ნაწილი რუსეთში მიემგზავრება.

საქარელი მ.

# ქართული ფულის ფონდი

ფოსტა-ტელ. ცენტრალურმა გამგეობამ მოსამსახურეებისაგან მიიღო შემდეგი შემოწირულებანი საქართველოს რესპუბლიკის ოქროს ფონდისთვის: თ. ზ. ნასიძისაგან ვერცხლის კოვზი 2, ვერცხლის საათი 2, ქამრის შესამკობი 1, ვერცხლის ნაჭერი 1, ვერცხლის სამაჯური 2, ვერცხლის ღილები 3, ვერცხლის ვარსკვლავი 1, ვერცხლის ნატეხები ორი ნაჭერი, ქინძისთავი მარგალიტის თვლებით 2, ვერცხლის საყურე 2, ბეჭდის თვალი ალმასის ქვებით 1, საათის გასაღები თითბრის 1, ბაჯაღლო ოქროს საყურე 3, ოქროს საყელური 1, ოქროს ბეჭედი 2, ვერცხლის საყელური 1, ვერცხლის სამაჯური 2, თითბერის სპარსული ფული 3 ც., ვერცხლის და სპილენძის რუსული ფული 2 მ. 77 კ.; ნადეჟდა ზუსარიონის ასული შალიკიანისაგან: ვერცხლის ძეწკვი 1, ვერცხლის „ზაპონკა“ 2, ვერცხლის ჯვარი 2, ვერცხლის ლიტრა 2, ვერცხის მუშტუკი 1 და ვერცხლის ფული 5 მმნ.; მარიამ ნანეიშვილისაგან, ბრინჯაოს მედალი 1, ვერცხლის კოვზი 1, ვერცხლის უცხოეთის ფული 1, ვერცხლის ბეჭედი 1, თითბრის აბზინდი ქამრის 1, საათის ქურქი 1; კოტე ბერძნიშვილისაგან ოსმალური ვერცხლის ფული 1; მიხეილ უთნელიშვილისაგან სპილენძის შაურიანი 1; ვასილ თედორეს ძე ხოშტარიასაგან სპილენძის შაურიანი 1, ვერცხლის ფული 2 მ. 85 კ; მათე კერესელიძისაგან ვერცხლის ფული 40 კ.; დავით ეპიტაშვილისაგან ვერცხლის ფული 3 ს. 55 კ.; კ. კიზილისგან სტანისლავის ორდენი 1, სპილენძის მედალი 1; ალექსანდრე ყაველიშვილისაგან ვერცხლის და სპილენძის ფული 5 მ. 53 კ., ბრინჯაოს მედალი 1; იოსებ მესხისგან ვერცხლის ჭიქა 1, სპარსული შვიდ შაურიანი 1, დახვრეტილი ვერცხლის ფული 4, მედალი 1, ვერცხლის ღილი 1, შუბლის ქინძისთავი 1, სპილენძის ფული შაურიანი 5 მუშტუკის თავი ოქროს 1; სერგო ყარალიშვილისაგან ვერცხლის მედალი 3, ვერცხლის საყურე 2, ვერცხლის პატარა მილი 1, ვერცხლის ფული 1 მ. 20 კ., სპარსული ფული სპილენძის 3; მიხეილ ივანიშვილისაგან—სპილენძის ფული სამი აბაზის; გიორგი ქადაგიშვილისაგან—ვერცხლის ფული 6 მ.; ლიდია ალაჯანოვისაგან ვერცხლის ფული 7 მ., სპილენძის ფული 1 მ. და 28 ნახ. კაპ. სპარსული ფული 1; ჰაიკ დჟანიბახჩევისგან ვერცხლის ფული ათი შაურის; ანდრიაძისგან ვერცხლი 5 მისხალი.

საქართველოს ფოსტა-ტელ. პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ და განმეორებით მოუწოდებს ფოსტა ტელ. მუშაკებს მიბაძონ ამხანაგების მაგა ითს და ახალგაზრდა რესპუბლიკის საკეთილდღეოთ შემოსწირონ ოქროს ფონდის გასაძლიერებლათ, ვისაც რამდენი შეეძლება ოქრო-ვერცხლი და ლითონი.

ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე შალიკიანი.

გამგეობის წევრი ს. ჭელიშვილი.

# ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 9 ივლისს შესდგა თფილისის საქონ. სად. პარტიული ორგანიზაციების საერთო კრება ამხ. ილიკო ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1) მოისმინა რა მოხსენება მდგომარე მომენტის შესახებ, აღიარა რა დღევანდელ ანარქიის უმთავრეს მიზნათ უპასუხისმგებლო პირების გამოსვლა, პარტიულმა ორგანიზაციამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: მადლობა გამოუცხადოს თავისუფლების დამცველ რევოლიუციონურ ჯარს და საქართველოს რესპუბლიკის წითელ სახალხო გვარდიელთ, რომლებმაც სახელოვნათ შეასრულეს თავიანთი დაკისრებული მოვალეობა შავი ძალების ალაგმაში დუშეთში, საჩხერეში და ქუთაისში. სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ მათი მოღვაწეობა თავისუფლების დაცვის საქმეში უფრო მტკიცე და კეთილსაიმედო იქნება შემდეგშიაც. წითელი ასოებით ჩაიბეჭდება საქართველოს რევოლიუციის ისტორიის ფურცლებზე.

ნივთიერი მდგომარეობის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში თანამედროვე გაჭირვებას, რომ პირველი საგნები აუცილებელი საჭიროებისა, საოცრათ გაძვირდა და ამ აუტანელ პირობებში ვღებულობთ ცოტა ხელფასს, რითაც არ შეიძლება ცხოვრება ათ დღეშიაც კი, ამისათვის წინადადება ეძლევა უმთავრესს რკ. კომიტეტს დაუყონებლივ განიხილონ ჯამაგირების ტარიფი ბაზრის მიხედვით, რითაც საშუალებას მოგვცემს ცხოვრებისას. ამასთან მიეცეს წინადადება ყველა სექციებს რკ. მოსამსახურეებისას იმათაც აღძრან ამგვარივე შუამდგომლობა. კრება ირჩევს სამი კაცისაგან შემდგარ კომისიას რკინის გზის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლათ. კომისიაში არჩიეს: ი. ბერძენიშვილი, თ. არიზიანი და ილ. ჩხიკვაძე.

პარტიული პრესის გავრცელების შესახებ. კრებამ მიიღო შემდეგი: მიეცეს წინადადება პარტიის ყველა წევრებს აუცილებლათ გამოიწერონ პარტიული გაზეთები („ერთობა“, „ბორბა“, „ნაბიჯი“ და „ფიქარი“).

ამისათვის ადგილობრივი ორგანიზაცია ანთავისუფლებს სამსახურიდან საგანგებოთ ერთ კაცს, ს. ჩიგოგიძეს. მასთან პროფესიონალური კავშირის კომიტეტი ადგილობრივი ორგანიზაციას ავალებს, პარტიის ყველა წევრებმა დემოკრატიის გულშემატკივრებმა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა პარტიულ პრესის გავრცელებაში და მასთან დაეხმაროს ჩვენ მიერ არჩეულს კაცს ყოველის მხრით, მასთან გაწეულ იქნას პროპაგანდა-აგიტაცია ფართო მასსაში პარტიულ პრესის გავრცელების საქმეში. პასუხისმგებელ კორესპონდენტათ აირჩიეს ს. ჩიგოგიძე, სარედაქციო კოლეგიაში—კი—ი. ჩხიკვაძე, იაგ. ასამბაძე, ნოე ჯიბლაძე. წიგნთ-საცავ სამკითხველოს შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი ახლო მომავალში აუცილებლათ იქნას გახსნილი წიგნთ-საცავ სამკითხველო პროფესიონალურ კავშირის სახელობაზე. ამისთვის კრება ირჩევს სამი კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომ გამოძებნონ შესაფერისი ალაგი, არჩეული არიან ი. ჩხიკვაძე, ი. ასამბაძე, მ. სალუქვაძე. სადგურის დაცვის შესახებ კრება ადგენს: ვინაიდან სადგურში ფეხს იკიდებს უპასუხისმგებლო პირების გამოსვლა, რომლებიც შესდგებიან საქართველოს მტრებისაგან, სტეხავენ ვაგონებს, იტაცებენ ხალხის ქონებას. კრება ადგენს, რომ პროფ. კავშირმა თავდაცვის კომიტეტს შეძლებისა დაგვარად დახმარება გაუწიოს, ამასთანავე ევალება ხსენებულ პროფ. კავშირის კომიტეტს მოაწყოს წესრიგზე სადგურის ყარაულობა, რომ ყარაულები იდგნენ თავიანთ სიმაღლეზე, რომ თავის „პოსტს“ არ სტოვებდნენ.

ხ. ქრისტინეს შვილი.

# პროვინცია

**სოფ. აბაშა.** (სამეგრელო) 25 ივნისს ს. აბაშის ორკლასიან სკოლის შენობაში შესდგა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების „შრომა“-ს წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ამხანაგობის წევრთა უმრავლესობა. თავმჯდომარის და მდივნის არჩევის შემდეგ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ. მოხსენებიდან სხვათა შორის გამოირკვა შემდეგი: დღიდან დაარსებისა (15 თვეა) ამხანაგობაში შემოსულა 269 წევრი; საწევრო და საპაიო 2690 მან. ამ ხნის განმავლობაში დუქანს გადაუბრუნებია 81370 მანეთი. და წმინდა მოგება 6448 მან. და 86 კ. დაუტოვებია, ესე იგი 66 პროც. რათ უნდა ჩაითვალოს ზომიერ და სასურველ მოგებად, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზოგიერთ საგანზე მაგალითად შაქარზე, ნავთზე და ზოგ სხვა საგნებზე, დუქანი სარგებელს თითქმის არ ღებულობდა. 12 ივნისს საზოგადოების უძრავი ქონება შეადგენდა—9138 მან. და 86 კ. კოოპერატივთან წევრების მისვლა-მოსვლის გასაადვილებლად გამგეობას გზის გასაყვანად დაუხარჯავს 546 მან. და 80 კ. შემდეგ მომხსენებელმა კომისიის სახელით მადლობა უძღვნა დუქნის გამგეს და ნოქარს მუყაით და ენერგიულ მუშაობისათვის.

კრებამ დაადგინა: სინიდისიერ და მუყაითი მუშაობისათვის მიეცეს ერთდროულ დახმარებათ გამგეს 400 მან. და ნოქარს 500 მან., დადგენილ იქნა აგრეთვე მომავალში გამგეს თვიურათ 50 მან მაგიერ მიეცეს 150 მან. და ნოქარს 120 მ. მაგიერ 200 მან. ბოლოს კრების მხიარული განწყობილება უსიამოვნებათ იქცა რადგანაც გამგემ და ნოქარმაც ერთხმად ითხოვეს სამსახურიდან განთავისუფლება. ვერ გასჭრა კრების ერთხმათ თხოვნამ არ მიეტოვებიათ ეს მათი დაუღალავი შრომით საწაღმართოთ დაყენებული საქმე და ბოლოს ის იძულებული შეიქმნა აერჩია ახალი გამგე და ნოქარი. გამგე—ნოქრის წასვლის მიზეზათ ასახელებენ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირებს, რომლებიც პატიოსან ადამიანებს მუშაობაში ხელს უშლიან.

ვუსურვებთ ახალ გამგეობას ნაყოფიერ მუშაობას.

სარევიზიო კომისიის მონდობილობით

გრ. ატამანელი.

---

**ნაძალადევი.** ნაძალადევის ახლო მდებარე მინდვრები პურით არის და თესლი. მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. მაგრამ აქ ერთ მეტად სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. თუმცა ბუნებას გულუხვად დაუჯილდოებია ადამიანის შრომა, მაგრამ მას შეუბრალებლად ანადგურებს ბოროტი ადამიანის ხელი, საქმე შემდეგშია: საღამოობით, როცა მშრომელი სტოვებს თავის ყანას და მიდის თავის სახლში,—ყანაში შედიან უცხო პირები გლეჯენ თავ-თავებს და მიაქვთ სახლში. (ერთი ასეთი მოვლენის მოწამე მეც გახლდით). ამასთანავე ზოგიერთი ყმაწვილები ყანაში უშვებენ საქონელს საძოვრად და სრულიად ანადგურებიებენ მას. მოუწოდებთ ამ ვაჟბატონებს მოვიდენ გონზე და ასეთ ბოროტმოქმედებას თავი დაანებონ.

ციმბირელი.

---

**ნატანები.** 22 ივნისს ნატანებში ირაკლი შოშიტაშვილმა დაჭერილი მოიყვანა ლიხაურის საზოგადოების მცხოვრებნი: სანდრო და გერასიმე გორდელაძეები რომლებიც აქედან წაიყვანეს ს. ლიხაურში. მიზეზი დაჭერისა შემდეგი ყოფილა: როცა მოულოდნელად ს. ლიხაურს თათრები შემოესია, მცხოვრებლები უგზოუკვლოდ გარბოდენ თავის გადასარჩენად და თავიანთ ავლა-დიდებას უპატრონოდ სტოვებდენ, ზოგიერთებს კი გასვლა ვერ მოესწრო და სოფელში დარჩენილიყვნენ. მათში ზემო მოხსენებული ორი პირიც იყო. მაგრამ როცა თათრებმა ლიხაური დასტოვეს და მცხოვრებლები თავიანთ დარბეულ სახლ-კარს დაუბრუნდნენ,—ამ ორი პიროვნების სამარცხვინო მოქმედებას ფარდა აეხადა. მათ აღმოაჩნდათ მიწაში ჩაფლული მეზობლებისაგან მონატაცები ნივთები. როგორც ასაბუთებენ სხვადასხვა ადგილებშიც ჰქონიათ გადამალული ასეთი ნივთები. თათრების იქ ყოფნის დროს ისინი თურმე ხელს უწყობდენ მათ; მჭადს და მისაჭმელს აკეთებინებდენ იქ დარჩენილ მცხოვრებ ქართველებს და უზიდავდენ თათრებს პოზიციაზე და თან მედიდურათ ეუბნებოდენ: თუ კარგათ არ გააკეთებთ სადილს თათრები გაჯავრდებიან და ყველას გაგამათრახებენო. შიშისაგან თავზარ დაცემულებიც ემორჩილებოდენ თავის მწარე ბედს. როცა თათრები ლიხაურს სცლიდენ, ამავე პირების დიდი დახმარება გაუწევიათ თათრებისთვის სოფლელთა საქონლის გარეკაში. როცა ლიხაურლები დაბინავდენ თავის სოფლებში, ეს ყველაფერი გამოაშკარავდა. გამართეს კრება და შეუდგენ საქმის გამოძიებას, მაგრამ ეს პირები იმ დროს იქ არ აღმოჩნდენ. გაუდევნებიათ დასა ჰერათ შოშიტაშვილი და მასაც დაუჭერია ისინი ს. სუფსის ერთ-ერთ დუქანში.

ივაკო გიორგაძე.

**სოფ. წიფა** (შორაპნის მაზრა). ამ სოფლის ბოლოში სურამის გვირაბის დასაცველად არის დაყენებული ოცამდე ჯარისკაცი, რომელთა საქციელი დიდ უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებლებში ისედაც აღელვებულ ხალხს ამ ჯარისკაცებმა სულ დაუკარგეს ყოველივე მოთმინება წამდა-უწუმ უმიზნო სროლით. ამით მარჯვეთ სარგებლობენ ყველა ჯურის პროვოკატორები და როდესაც დამთვრალი და თავბრუ დასხმული (ეს კი ყოველ დღე ხდება) ჯარისკაცები სროლას ან როგორც თვითონ ეძახიან „შელუღს“ ასტეხენ ხოლმე, მაშინვე სოფელში ხმა ვრცელდება, რომ ბოლშევიკები მოდიან და თავს უშველეთო, და ამით კი სოფლის მუშა ხალხს გულს უტეხენ ყოველივე სამუშაოზე. საჭიროა „დრუჟინის“ შტაბი ყურადღებას მიაქცევდეს ამათ საქციელს და დროზე გამოსცვლიდენ მცველებს, სანამ ხალხს მთლად არ დაუკარგავს მოთმინება.

პ. მათიძე.

---

**ქ. სამტრედია.** აქ არსებობს „კლუბი—საზოგადო-საკრებულო“. კლუბის ნახევარ შენობაში მოთავსებულია ბანქოს სათამაშო ოთახები, ხოლო მეორე ნახევარში კი თეატრი. თეატრი ჯეროვანათ არის, მოწყობილი ძალებიც კარგი ჰყავს. განსაკუთრებით ბათუმის აღების შემდეგ, მთელი ბათუმის დრამატიული საზოგადოების შემადგენლობა აქ გვიწვევია და თავის მოქმედებაც აქ გადმოიტანა. დასი ხშირად დგამს სხვადასხვა ქართულ საუკეთესო პიესებს, რომელსაც ხალხიც ბლომად ესწრება. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ქ. სამტრედიის საზოგადო საკრებულოს“ მამასახლისებს არასოდეს არ ჰქონია საქმე რიგზე მოწყობილი, და ეხლა მით უმეტეს. აი მაგალითად შუა მოქმედების დროს ხან სინათლე უქრებათ და ხან მოულოდნელი აყალ-მაყალი ატყდება. საზოგადოება ფრთხება და მსახიობებზეც ასეთი შემთხვევები ცუდ გავლენას ახდენს და დანარჩენი მოქმედებები დრამისა გულგრილად ტარდება. გარდა ამისა, საზოგადოების ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ „ბუფეტზე“, რომელიც მოთავსებულია თეატრის შენობაში. „ბუფეტი“ სამიკიტნოს და რესტორანს უფრო ჰგავს ვიდრე კლ. „ბუფეტს“, ჩვენი აზრით ბუფეტი, რომელიც არსებობს კლუბთან უნდა ხელმძღვანელობდეს კლუბის ადმინისტრაციისაგან შედგენილ ნიხრით; მაგრამ „ბუფეტის“ მოიჯარადრე ამ კანონს არ ემორჩილება და ისე ჰყიდის ყველაფერს როგორც მოეპრიანება. ცხადია საცალპრო სიძვირეა, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. საჭიროა ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

განთიადი.

---

**საჩხერე** (შორ. მაზ.). დღეს საჩხერეში მრავალი უწესოება ხდება. ყველა ამის მიზეზი კი ლოთობაა, რომელიც აქ ძლიერ გახშირებულია. იმდენი სამიკიტნო, რამდენიც საჩხერეში არის, სხვაგან ძვირათ მოიპოვება. თუ ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ჩვენს ბაზარში 10—12 სამიკიტნო იყო, დღეს 29—30 არსებობს, და მოსალოდნელია ცოტა ხანში კიდევ მოემატოს. თითქმის ყოველ დღე არის ბაზარში მთვრალი პირების მიერ ატეხილი აურ-ზაური და ხმა მაღალი სიმღერა. ხშირათ შეხვდებით აგრეთვე ქუჩაში გაშლილ სტოლს, რომელსაც შემოსხდომიან ღვინით გალეშილები და ისეთი ღრიალი გააქვთ, რომ მშვიდობიან მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევენ. მთვრალი პირებიდან მოსვენება არ არის თვით თეატრის დარბაზშიაც და წარმოდგენის მოსასმენად მოსული ხალხი, ამ ვაჟბატონების წყალობით იძულებული ხდება, თეატრის დარბაზი მიატოვოს და სახლში წავიდეს. ერთი სიტყვით, დიდი უწესოება ხდება საჩხერეში მთვრალ პირების მიერ,

ასეთივე სამიკიტნოებია აგრეთვე ზოგიერთ ახლო მახლო სოფლებში, ამ სამიკიტნოებში თავს იყრის ბნელი პირები, და აქედან სხვადასხვა ადგილებში ახდენდენ თავდასხმას. აი მაგალითად ამ დღეებში თავს დაესხნენ ქურდები არგვეთში და ცხენი მოპარეს ა. კურცხალიას, სოფ. ითხვისში თავს დაესხნენ ბოროტ გამზრახველნი, ბაძგარაძეებს და წაართვეს სხვადასხვა საჭირო საგნები, სოფ. ბჟინევში აბესალომ აბდუშელიშვილს მოპარეს 6 ჩაფი ღვინო. მეორე ღამეს აბდუშელიშვილის შემდეგ, გაბაძეს მოპარეს სხვადასხვა ნივთები 2000 მან. ღირებული, მაგრამ ქურდი შეიპყრეს ის, აღმოჩნდა ამავე სოფლის მცხოვრები ჰიღლაძე.

საჭიროა იქნეს დაკეტილი ყველა სამიკიტნოები, რომლებიც ხელს უწყობს ქურდ ბაცაცების თარეშს.

შალიკო ხვადაბუნელი.

# თეატრი და ხელოვნება

**სოხუმი.** 11 ივნისს სოხუმის თეატრ „ალოიზში“ ყვირილის და თფილისის წითელ გვარდიელების მიერ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით რევოლიუციის დროს დახოცილთა და დაზარალებულ წითელ გვარდიელების სასარგებლოთ წარმოდგენილ იქნა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან ირეთელის მიერ პიესათ გადმოკეთებული „სოფლის გმირები“. სოხუმში წარმოდგენები ძალიან ძნელათ იმართება ქართულ ენაზე და ამიტომაც წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი. იყო ამერიკული საჯარო ვაჭრობა. შემოსწირა ფულათ ჯიტო შარვაშიძემ 100 მ, წარმოდგენიდან და საღამოდან შემოსული 4,000 მ. დანიშნულებისამებრ გადაეცა.

„ანერი“.

# ცნობები

სოფ. არგვეთაში მცხოვრები, საქარ. საზოგ., ვენედიკტე ილიას ძე ხუსკივაძე მსახურებდა დღიურ მეისრეთ (სტრელოჩნიკათ) რკინის გზაზე, რომელიც წავიდა თფილისში 27 წარსულ თვეს და იქიდან აღარ დაბრუნებულა. მცოდნე პირებს ვთხოვ გვაცნობონ მისი ბინა სადგ. შორაპანში საგურის უფროსის თანაშემწეს დომენტი ხუსკივაძეს. ტანათ არის საშუალო, თეთრ ყირმიზი ფერისა, ახლათ მომავალი წვერ-ულვაში აქვს, 16—17 წლისა იქნება.

— ჯარისკაცი ვასილ გოგის ძე გოგოძე მსახურებდა 1 ქართულ ბათალიონში, მე-2 როტაში, 1 ვზვოდში, მონაწილეობას იღებდა აბასთუმნის ბრძოლაში 25 დღეა მშობლებმა არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რამე იცით გთხოვთ აცნობოთ სადგურ სუფსაში კონსტანტინე დონაძეს.

# ფონდი

ელენე ჩხუბიანიშვილისაგან მივიღეთ 116 მანეთი (ასთექვსმეტი) „ეშმაკის მათრახის“ ფონდისთვის.

# ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან, საჩხუბ[illegible] და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე [illegible] საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

# ექიმი ლ. ი. ცაგარელი.

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

# სამკურნალო კაბინეტი ექიმი ალექსანდრე დამ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმ რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

# ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

# ექიმი მ. კლდიაშვილი.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაჟთის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

# ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

# ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილისა

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 33. ტელ. № 9—26.

# ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულს, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

# ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ეფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, [illegible] ტელ. № 5—77.

# გაიხსნა თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის

# ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილით 9—1 საათ. და სალ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

# დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

— პარასკევს, 12 ივლისს, —

სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

# — გამცემი —

დრამა 3 მოქმ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ქართაშვილი, გოგოლაშვილი, ნინონი, რომანიშვილი-დგებუაძისა; ბბ. მეტრეველი, მინდიაშვილი, სალაყაია, წანწიაშვილი და ჭანკვატაძე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

რეჟ. კ. შათირიშვილი. რეჟისორის თანაშემწე ალ. ბადრიძე.

# მუშათა კლუბში.

დღეს, 12 ივლისს 1918 წ.

სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება:

**ციმბირელი**

კომედია 4 მოქ. ა. ცაგარლისა

ანტრაქტებში დაუკრავს **საზანდარი**.

დასაწყისი სწორეთ 8 საათზე.

# სავალდებულო დადგენილება

დამტკიცებული ქალაქის ხაზჭოსაგან 8 ივლისის სხდომაზე.

1) ყველა სავაჭროები, რომელთაც ჰქონდათ ნება 7 საათის შემდეგაც ევაჭრათ, როგორც მაგალითად: სასადილოები, რესტორანები და სხვ., უნდა დაიკეტოს საღამოს 11 საათზე ახალი დროით.

2) ყველა გასართობი ადგილები; თეატრები, კლუბები, სინემატოგრაფები, ცირკი და სხვ. უნდა დაიკეტოს საღ. 11 საათზე ახალი დროით.

3) არავის ნება არა აქვს გახსნას რაიმე გასართობი დაწესებულება ქალაქის გამგეობის ნებდაურთველად.

4) ვინც შემჩნეული იქნება ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში პასუხისგებაში აქნება მიცემული დებულების მე 29 მუხლის ძალით.

(2—1)

თფილისის ქალაქის გამგეობა.

# მოითხოვეთ სამკურნალო ბორჯომის წყალი

ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროსი ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმათ („პარტიობით“) მყიდველებს, რომ ფასდადებით და ნისიათ წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივ მოწოდება უზრუნველყოფილია.

მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯექსპორტი“. (15—10)

# თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

# კურსები

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.